ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 2011 №249 (5629) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ჩარლი ჩაპლინი
8 ლარი
11 ოქტომბრიდან




# ივანიშვილს მილიონებსართმევენ

„ქართუ ბანკში“ შემოწმება დაიწყო



გვ. 2

## ამერიკა საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითხოვს



რა გზავნილი ჩამოიტანა კლინტონის მოადგილემ საქართველოში

გვ. 2

# სახიფათო თამაში დაწყებულია

რა შეცვალა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში გვ. 3

## ალეკო შალამბერიძე: „სკოლები ნაციონალების ბუდედ გადაიქცა“

გვ. 4



## საქართველო ევრაზიის კავშირში არ შევა



გვ. 7



## რას არ თმობს ხელისუფლება მომავალ საარჩევნო კოდექსში

გვ. 6



## ანზორ აბრალავა: ივანიშვილმა მკვდარი პოლიტიკოსების გაცოცხლება დაიწყო

გვ. 11

## ხელისუფლება პანიკაშია




გვ. 3

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

7 რუსების ხელში აფხაზები სულ „რიბას“ მდგომარეობაში იქნებიან

6 რატომ ჩამოართვეს მეპატრონეს ნიკო ფიროსმანის „კახური ღვინო“

3 გვარდიის ყოფილი სარდალი ივანიშვილს გამოესარჩლა

4 გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა

# ამერიკა საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითხოვს

## რა გზავნილი ჩამოიტანა კლინტონის მოადგილემ საქართველოში



უილიამ ბერნსი

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოადგილე უილიამ ბერნსი იმყოფება.

ბერნსი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას შეხვდა.

ამერიკელმა მაღალჩინოსანმა ოპოზიციის ლიდერებთანაც გამართა შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ბერნსის გრაფიკი გადატვირთულია, მან ოპოზიციის ლიდერებთან შესახვედრად დრო გამონახა.

რაზე ესაუბრა ალასანია ამერიკელ მაღალჩინოსანს? რა დოკუმენტები მიაწოდა მან უილიამ ბერნსს?

როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენის მიმართ?

არის თუ არა ივანიშვილი ის ლიდერი, რომელზეც ამერიკა ფსონს დადებს?

ეს ის კითხვებია, რომლებზეც ღია პასუხები არ არსებობს.

იმ კითხვებზე პასუხები, რომლებიც პოლიტიკოსებისაგან შეხვედრის დასრულების შემდეგ მივიღეთ, მკითხველისთვისაც ცნობილია.

ნათია ხურცილავა

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და ბევრი დეტალი, ბუნებრივია, უცნობი დარჩა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ალასანიამ განაცხადა, მან ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მიაწოდა ინფორმაცია ამერიკელ მაღალჩინოსანს.

როგორი იყო საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ამერიკელი მაღალჩინოსნის პოზიცია, უცნობია. თუმცა, ფაქტია, რომ სახელმწიფო მდივნის მოადგილე საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო დეპარტამენტში ჩაიტანს.

როგორც ცნობილია, უილიამ ბერნსი რუსეთის ფედერაციაში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო. ამდენად, ის კარგად იცნობს პოსტსაბჭოურ პოლიტიკას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსთან და ამერიკის ელჩ ჯონ ბასთან შეხვედრაზე ოპოზიციის ლიდერებმა, ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გარდა, შიდა პოლიტიკურ პროცესებზეც ისაუბრეს. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა, საუბარი შეეხო საქართველოს შიგნით შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და „პოლიტიკაში ახალი მოთამაშის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელებულ ექსტრემიზმს" – ასეთ ფორმულირებას აკეთებს ალასანია.

ალასანიას განცხადებით, მან ამერიკელ მაღალჩინოსანს გაუზიარა შეშფოთება ამ საკითხთან დაკავშირებით და გარკვეული დოკუმენტაციაც მიაწოდა. – ვუთხარი, რომ შეუთავსებელია დემოკრატიულ ქვეყანასთან ის, რაც დღეს ხდება ქვეყანაში. დეტალურად ვისაუბრეთ მომავალ არჩევნებზეც და იმაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს ქვეყანაში, რომ ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები. შევთანხმდით, რომ ამერიკა გააგრძელებს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისთვის მტკიცე მხარდაჭერას, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

„ახალმა მემარჯვენეებმა" კი აქცენტი მომავალი წლის არჩევნებსა და მის დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობაზე გააკეთეს, როგორც მათმა ლიდერმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა.

დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ საუბარი შეეხო იმ საარჩევნო შეთანხმებას, რაც ხელისუფლებასა და რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას შორის შედგა და რომლის დარღვევის საშიშროებაც არსებობს.

– იმედი გამოვთქვით, რომ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის ახალ ვერსიას უკან წაიღებს და დაბრუნდება ის ვერსია, რომელზეც შეთანხმება შედგა. ვისაუბრეთ ასევე მედიაზე, ადმინისტრაციულ რესურსზე, ბიზნესზე. ეს იყო ღია დისკუსია და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ობამას ადმინისტრაცია საქართველოს მხარდაჭერას გააგრძელებს, – განაცხადა დავით გამყრელიძემ.

ამერიკელ მაღალჩინოსანთან გამართულ შეხვედრას რესპუბლიკური პარტიიდან ლევან ბერძენიშვილი ესწრებოდა.

ბერძენიშვილმა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან შეხვედრაზე სამ ძირითად საკითხზე ისაუბრა.

მან ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, თუ რა დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის ჩართვამ.

– ვთქვი, რომ მან შეიძლება გაზარდოს ელექტორატი იმ თვალსაზრისით, რომ არჩევნებზე მოვიდეს ის ხალხი, რომელიც აქამდე ამ არჩევნებში არ მონაწილეობდა. მეორე საკითხი იყო ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება იმ საარჩევნო კოდექსის მიმართ, რომელიც ახლა უნდა მიიღონ. ვუთხარით, რომ საქართველოს გზა ნატო-სა და ევროპისკენ არ გადის მიხეილ სააკაშვილის მარადიული მმართველობის პირობებში და აღვნიშნეთ, რომ თუ 2012 წელს საქართველო ხელისუფლებას არ გამოცვლის, საქართველო ვერასოდეს მოხვდება ვერც ნატო-ში და ვერც – ევროკავშირში. ამ საკითხზე ამერიკელ მაღალჩინოსანს არანაირი პროტესტის გრძნობა არ ჰქონია, ამერიკაში მშვენივრად ესმით ჩვენი მდგომარეობა, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში დასძინა, რომ დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილია. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების მოქმედება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის მოხსენებაშიც აისახება. უსაფრთხოება და ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრეს ქრისტიან-დემოკრატებმა. როგორც გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, ამერიკა საქართველოს მთავარი პარტნიორია სეპარატისტული რეგიონების არაღიარების საკითხში.

– ჩვენ ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია პოლიტიკური რეფორმები და არჩევნები. სანამ ჩვენს საზოგადოებაში არ ამაღლდება ნდობა საარჩევნო პროცესისა და პოლიტიკური პარტიებისადმი, ხელისუფლება გააგრძელებს დეგრადაციას. ვისაუბრეთ კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე, რათა ხალხს ფსევდო მესიების მოლოდინი არ ჰქონდეს. ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკა ხალხის მონაწილეობით უნდა იქმნებოდეს, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ. თარგამაძე ამბობს, რომ ამ საკითხში ამერიკელმა მაღალჩინოსანმა საქართველოს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ აღუთქვა.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციაში გაიმართა. შეხვედრას ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავაც ესწრებოდა.

უილიამ ბერნსმა ქართველი ჟურნალისტებისთვის შეხვედრების დასრულების შემდეგ პრესკონფერენცია გამართა.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში ორიენტირებულია უფრო მეტად სათამაშო გარემოზე, ვიდრე მოთამაშეებზე. ეს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსმა პრესკონფერენციაზე გააკეთა.

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, გამართლდეს ქართველი საზოგადოების ნაწილის ვარაუდი, რომ მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ ხელისუფლებაში პრემიერად დარჩება და როგორი იქნება ამ შემთხვევაში ამერიკის დამოკიდებულება, ბერნსმა განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა.

არ არის გასაკვირი, რომ ამერიკისა და ევროკავშირის სწორება ახლა სწორედ 1012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეა. – მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ ჩვენი გრძელვადიანი ინტერესები საქართველოში ორიენტირებულია უფრო მეტად სათამაშო გარემოზე, ვიდრე მოთამაშეებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ღია და სამართლიანი არჩევნების, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა მომდევნო ორი წლის განმავლობაში. 2013 წელი საქართველოს დემოკრატიაში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ საკითხებზე ფოკუსირება, რომლებზეც ვისაუბრეთ, მათ შორის მედიის გამჭვირვალობა და დაფინანსება და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ერთი წესით ითამაშებს, საარჩევნო კოდექსი გაუმჯობესდება. იმედი მაქვს, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში თქვენ შეძლებთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფას, – განაცხადა უილიამ ბერნსმა.

რაც შეეხება საქართველოსთვის მაპის მინიჭების თემას, კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში ამერიკის დელეგაციის მიერ ხსენება ხომ არ ნიშნავს დასავლეთის მეტ მხარდაჭერას ამ მიმართულებით, ბერნსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა.

– როგორც უკვე განვაცხადეთ, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას, გახდეს ნატო-ს წევრი. მაპის მინიჭების საკითხი, როგორც იცით, ყველა მოკავშირემ უნდა გადაწყვიტოს. საქართველომ უნდა განახორციელოს ინვესტიცია საკუთარ მომავალში ევროატლანტიკური ღირებულებების გაძლიერებისთვის, რაც დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფით უნდა მოხდეს. ეს იქნება საქართველოსთვის საუკეთესო რეკლამა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე და ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ მის მყარ მხარდაჭერას, – ასეთია უილიამ ბერნსის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

# ივანიშვილს მილიონებს ართმევენ

## „ქართუ ბანკში" შემოწმება დაიწყო

შალვა ჯოხაძე



ნოდარ ჯავახიშვილი

ხელისუფლების მხრიდან ერთ-ერთი პირველი და მთავარი შეტევა ბიძინა ივანიშვილის ფულზე ხორციელდება. მის ბანკთან დაკავშირებული ინციდენტი სწორედ ამას მოწმობს. ახლა კი, ირკვევა, რომ ივანიშვილის „ქართუ ბანკში" ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახური შევიდა. ამის შესახებ განცხადება ეროვნულმა ბანკმა გააკეთა. განცხადებაში ვკითხულობთ: „კანონმდებლობის თანახმად, საბანკო ზედამხედველობა კომერციული ბანკების დისტანციური და ადგილზე შემოწმების მეთოდით მიმდინარეობს. შემოწმების ინტენსივობა განისაზღვრება როგორც ბანკის რისკის პროფილის, ასევე წარმოქმნილი განსაკუთრებული ვითარებების გათვალისწინებით". ეროვნული ბანკი „ქართუ ბანკში" შესვლის მიზეზად მენეჯმენტში განხორციელებულ ცვლილებებს და 18 ოქტომბერს ბანკის ინკასაციის მანქანის დაკავებას ასახელებს.

„დეტალურ შესწავლას საჭიროებს 18 ოქტომბერს სს „ბანკ ქართუში" მომხდარი ფაქტი, რომელთან დაკავშირებითაც საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულის გათეთრება) აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა, როგორც საბანკო სექტორის რეგულატორმა და ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის გარანტმა, მიიღო გადაწყვეტილება ადგილზე, დეტალური შესწავლის გზით შეაფასოს სს „ბანკ ქართუში" შექმნილი ვითარება, პასუხი მიიღოს ყველა წარმოქმნილ შეკითხვაზე და მიღებული შედეგების საფუძველზე განსაზღვროს ბანკის სამომავლო ზედამხედველობის სტრატეგია", – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

„ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა მედიას განუცხადა, რომ მათთან შემოწმება უკვე დაიწყო და ეს პროცესი ორ თვეს გასტანს.

„ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა „ქართუ ბანკის" შემოწმებაზე გაცემული ბრძანება გადმოგვცეს. ამ ეტაპზე ბანკში ცენტრალური ბანკის 3 წარმომადგენელი იმყოფება", – აცხადებს ჯავახიშვილი. მას იმედი აქვს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ბანკის ფუნქციონირებას პრობლემები არ შეექმნება.

„ქართუ ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯავახიშვილი აცხადებს, რომ, 18 ოქტომბრის ინციდენტის მიუხედავად, ბანკის ყველა ფილიალი დღეისათვის გამართულად მუშაობს. თუმცა, ჯავახიშვილი არ გამორიცხავს, რომ თუკი ბანკის მიმართ მსგავსი ინციდენტი კიდევ განხორციელდა, კომპანიის იმიჯი შეილახოს და კაპიტალის გადინება დაიწყოს.

**ნოდარ ჯავახიშვილი:**

– ბანკი ყველა ბიზნესსტრუქტურასთან შედარებით ყველაზე მგრძნობიარე დაწესებულებაა. „ქართუ ბანკს" ყაჩაღური მეთოდებით წაართვეს ფული, შესაძლოა, ხვალაც წაართვან, სიტუაციის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ მეანაბრეებმა საკუთარი ფულის უსაფრთხოების მიზნით შეიძლება ფული სხვა ბანკებში გადაიტანონ. ეს ბანკისთვის დამღუპველი იქნება.

ბანკიდან კაპიტალის გადინების საკითხთან დაკავშირებით, ჯავახიშვილის თქმით, ჯერ საგანგაშო არაფერია, თუმცა, ბანკიდან ანგარიშის გადატანის ერთეული მოთხოვნები უკვე დაფიქსირდა.

**ნოდარ ჯავახიშვილი:**

– საბედნიეროდ, სერიოზული მოწოლა დღეს არ არის. როგორც ჩანს, საზოგადოება კვანძის გახსნას ელის, თორემ ბანკთან უკვე რიგები იქნებოდა. ბანკიდან კაპიტალის გადინება საშუალო არითმეტიკულ სტატისტიკას აჭარბებს, მაგრამ კატასტროფული არ არის.

ნოდარ ჯავახიშვილმა „ქართუ ბანკის" თანხის მიტაცებასთან დაკავშირებითაც გააკეთა პირველი კომენტარი.

„ფულის გათეთრება სულ სხვა ოპერაციაა და არანაირი კავშირი არა აქვს ბანკებს შორის არსებულ გამაგრების ურთიერთობაზე. ბანკი „ქართუ" არ ემსახურება სავაჭრო ობიექტებს, აქედან გამომდინარე, ნაღდი ფული აქ ყოველთვის ნაკლებია. იყო დრო, როცა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩამოჰქონდა დოლარები და მისი მეშვეობით ნაწილდებოდა. შემდეგ ეროვნულმა ბანკმა ამ ფუნქციების დელეგირება კომერციულ ბანკებზე მოახდინა. დღეს კომერციული ბანკები ახდენენ ერთმანეთის გამაგრებას, ანუ ბანკს უნაღდოდ აქვს ფული, მაგრამ სჭირდება ნაღდი კუპიურები. ეს იყო ასეთი ჩვეულებრივი ოპერაცია „საქართველოს ბანკსა" და „ქართუ ბანკს" შორის – ბანკი თავისი უნაღდო ნაწილის ნაღდად ქცევას აპირებდა", – განაცხადა საუბარში ნოდარ ჯავახიშვილმა.

ჯავახიშვილის თქმით, ეს ფული მოძრაობდა „ქართუსა" და „საქართველოს ბანკის" ანგარიშებს შორის, ერთ შემთხვევაში – ევროში, გერმანულ „კო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება პანიკაშია

შორენა კოწოწაშვილი

ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაწყებული პოლიტიკური რეპრესიები გრძელდება. ოპოზიცია ხელისუფლების ნაბიჯებს სააკაშვილისა და მისი გუნდის შიშით ხსნის და რეპრესიების გაგრძელებას ელის.

ივანიშვილის პარტნიორი რესპუბლიკური პარტია საგანგებო განცხადებით ეხმიანება იმ ფაქტებს, რომლებიც ბოლო დღეებში დაფიქსირდა და რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ივანიშვილის დასჯა იმის გამო, რომ მას პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა.

— დღეს სრულიად ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება დანაშაულებრივი შეცდომების გზას დაადგა და საკუთარი მოქმედებებით ქვეყანა მორიგი დაძაბულობისკენ მიჰყავს. რესპუბლიკური პარტია ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის სურვილი — ბიძინა ივანიშვილი დანაშაულებრივი გზით ჩამოაშოროს პოლიტიკურ პროცესს, არის კიდევ ერთი მცდელობა, მოკლას ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი და ქვეყანას უმძიმესი არჩევნის წინაშე აყენებს. ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის სამართლებრივად აბსურდული და პოლიტიკურად გაუგებარი ჩამორთმევა, მისი ვაჟის მეგობრის დაკავება, სატელევიზიო ისტერიკა მანამდე ხელისუფლების დიდი მეგობრისა და ქველმოქმედის წინააღმდეგ, ივანიშვილის რუსული ინტერესების გამტარებლად გამოცხადება, ბანკ „ქართუს“ წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებული დღევანდელი მოქმედებები, ბიძინა ივანიშვილის დაცვისთვის იარაღის ჩაბარების მოთხოვნის წაყენება და ბოლო სრულიად აბსურდული განცხადებები ვიზისა და ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ, როდესაც მოქალაქეობის ჩამორთმევის აქტი მხოლოდ ერთი კვირის გამოცემულია, ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად ცდილობს, პოლიტიკური ტერორის, პოლიტიკურ ჟანდარმერიად ქცეული პოლიციისა და პროპაგანდის საშუალებით გაუსწორდეს პოლიტიკურ ოპონენტს, — ნათქვამია რესპუბლიკური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.




რესპუბლიკური პარტია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილთან და სხვა პარტნიორებთან ერთად შესაძლებელი და აუცილებელია სახელმწიფოსა და მოქალაქეებისთვის უკიდურესად სახიფათო რეჟიმის დაძლევა.

— ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობა ჩვენი არჩევანია. ჩვენ სერიოზულად ვაცნობიერებთ, რომ ამ გზაზე ბევრი საფრთხეა. ეს გზა უკიდურესად სარისკოა. წინ ბევრი ბარიერია. ჩვენ ბრძოლას მიჩვეული ვართ. რესპუბლიკელები და ბიძინა ივანიშვილი ერთად ვაპირებთ ამ საფრთხეებთან გამკლავებასა და ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას, — ნათქვამია განცხადებაში.

# გვარდიის ყოფილი სარდალი ივანიშვილს გამოესარჩლა

თეა მარხვაიძე

**ბიძინა ივანიშვილის გარშემო ატეხილმა ალიაქოთმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ჩვენს ხელისუფლებას ასე ძალიან მაშინაც კი არ შეშინებია, 2008 წლის აგვისტოში რუსები ლამის თბილისში რომ შემოვიდნენ.**

**ივანიშვილის სახელი აქ ყოველთვის ისმოდა. თუმცა, აქამდე ხელისუფლებას არასდროს უთქვამს, რომ ივანიშვილი პუტინის პროექტი და ქვეყნის დამაქცევარია. პირიქით, ხელისუფალნი მის მზეს ფიცულობდნენ და მის ფულებსაც კარგად იყენებდნენ.**

მისი თანხებით გაკეთებულ საქმეებსაც თავად იბრალებდნენ. ახლა ზოგი ისე შორს წავიდა, რომ ლამისაა მას დააბრალონ 1921 წელს თბილისში რუსული არმიის შემოყვანა.

ხელისუფლება ხშირად ამაყობს იმით, რაც დღეს ქართულ არმიაში ხდება. საჩხერის სამთო ბატალიონის ბაზა მართლაც სამაგალითოა და ეს ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით გაკეთდა.

წლების განმავლობაში ივანიშვილი უხდიდა ამ ბატალიონის მებრძოლებს ხელფასებს. ამის გახსენება ახლა არავის უნდა. მისთვის მხარდაჭერის გამოცხადება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

გვარდიის ყოფილ სარდალ ჯემალ ჭუმბურიძეს კარგად ახსოვს ივანიშვილის გაკეთებული საქმეები. მისთვის ხელისუფლების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის „რუსეთის აგენტობაში“ დადანაშაულება მიუღებელია.

გვარდიის ყოფილმა სარდალმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. სააგენტო „მედიანიუსის“ ინფორმაციით, გენერალი აღშფოთებულია მეცენატი ბიზნესმენის შესახებ ტელევიზიით გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების გამო. ქვეყანამ არ უნდა დაივიწყოს ამ ადამიანის უდიდესი ქველმოქმედება, რომელსაც უანგაროდ სჩადიოდა და მადლობას არავისგან ითხოვდა.

— ივანიშვილის მიმართ რუსეთის აგენტობის შესახებ უაზრო ბრალდების სანაცვლოდ, უკეთესი იქნებოდა, ჟურნალისტებს საზოგადოებისთვის შეეხსენებინათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც სპეციალური გადაცემაც მიეძღვნა და საქართველოს ტელევიზიის არქივში აუცილებლად იქნება დაცული. 20 წლის წინათ, როცა სოფლებში გლეხებს ხვნა-თესვა შეწყვეტილი ჰქონდათ და ტრაქტორსა თუ კომბაინზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო, ფოთის პორტში დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შემოვიდა. ეს იყო რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის, პატრიოტი ადამიანის გულუხვი საჩუქარი იმედგადაწურული ქართველი გლეხებისათვის. მაშინ ჩვენ, გვარდიის საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლები, საქართველოში გამოგზავნილ ტექნიკას ფოთის პორტში დავხვდით და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადავანაწილეთ. მსგავსი რაოდენობის ტექნიკა საქართველოში მას შემდეგ აღარ შემოსულა — 125 ტრაქტორი ბტ-75, 100 „ბელორუსი“, 100 ცალი ბ125 ა-ტიპის ტრაქტორი, 100 თვითმავალი სისტემა, ავტობუსები, კომბაინები, სახნავები და ბევრი სხვა. გვახსოვს გლეხების ანთებული თვალები, ტაშითა და ტირილით ხვდებოდნენ ამ მოულოდნელ საჩუქარს, — აღნიშნავს გვარდიის ყოფილი სარდალი.

ჭუმბურიძის თქმით, იმ დროს ივანიშვილის მეცენატობასა და კეთილ საქმეებზე საქართველოში არავინ იცოდა.

— ეს იყო მისი ერთ-ერთი პირველი დახმარება, რომელმაც ქართველ გლეხკაცს იმედი მისცა და მიწას მიუბრუნა. მას შემდეგ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მრავალი პატრიოტული პროექტი განახორციელა, ადამიანებს დაეხმარა, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს გამოჩენილა სახალხოდ და მადლობა არავისთვის მოუთხოვია. ნუთუ ამის დავიწყება ერთ დღეში შეიძლება? უმძიმეს პერიოდში საქართველოს მხარში ამოდგომა აგენტობაა?! — აცხადებს ჯემალ ჭუმბურიძე.

ურიგო არ იქნებოდა, თუ თავიანთ პოზიციას სხვებიც დააფიქსირებდნენ. საუბარია იმათზე, ვინც ასე თუ ისე იცნობდა ივანიშვილს და მათზე დიდი ამაგი აქვს.

ასეთები პარლამენტშიც არიან. ივანიშვილს მათზე დიდი ამაგი აქვს. აქამდე მისი მადლიერნი იყვნენ. ახლა ხმას არ იღებენ. ჯერ ცუდიც არ უთქვამთ. თუმცა, გამორიცხული არაფერია.

ამ სამიდან ერთმა გაურკვეველი კომენტარი გააკეთა, ოღონდ მაშინ, ივანიშვილმა პირველი განცხადება რომ გაავრცელა.

იმ დეპუტატმა თქვა, რომ ვერ გაიგო, ივანიშვილს რა სურდა. საინტერესოა, მაშინ თუ იგებდა, რა უნდოდა ივანიშვილს, ხელფასს რომ უხდიდა. ეს ადამიანი ცოტა შორეულ წარსულში მინისტრად დანიშნეს. კარგი ავტორიტეტი ჰქონდა. მაშინ ხელფასები მიზერი იყო. ჩინოვნიკები ქრთამით ცხოვრობდნენ. ივანიშვილმა თავის „ზემლიაკ“ მინისტრს ხელფასი დაუნიშნა, დე-ფაქტოდ, რასაკვირველია. როგორც ამბობენ, 4 ათასი დოლარი იყო. შეუთვლია, ქრთამი არ აიღო და მე დაგაფინანსებო.

ხელფასის მიცემა ივანიშვილმა „ზემლიაკს“ რამდენიმე თვეში შეუწყვიტა. მიზეზი ცნობილი არ არის.

# ფიროსმანის ნახატის თაობაზე სასამართლო განხილვა დასრულდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — ნიკო ფიროსმანის აბრაზე შესრულებული ნახატის, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე წესის დარღვევით გადატანის მომზადების ფაქტზე, ბრალდებულების გელა სანიკიძის, გაიოზ ჯავახიშვილის, დავით ზირაქაშვილის,ზურაბ დათუკიშვილის და ალექსანდრე ფურცხვანიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 18, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

საქმის მასალების მიხედვით: საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი გაიოზ ჯავახიშვილი 2010 წლის ზაფხულიდან გეგმავდა, მის ფლობელობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — ნიკო ფიროსმანაშვილის აბრაზე შესრულებული ნახატის — ,, კახური ღვინო“-ს 500 000 აშშ დოლარად გაყიდვას და ამ გზით გამდიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ სურათის საზღვარგარეთ ლეგალურად გატანის უფლება არ ჰქონდა, იგი დაუკავშირდა შპს „იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრი“-ს ხელმძღვანელს გელა სანიკიძეს და ალექსანდრე ფურცხვანიძეს, ხოლო მათი მეშვეობით, დამატებითი თანხის სანაცვლოდ, სურათის შეძენა და არალეგალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა შეთავაზეს მამუკა შ.-ს. შეთანხმებისამებრ, ფიროსმანის ნახატის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა, უნდა უზრუნველეყოთ ადვოკატ დავით ზირაქაშვილსა და ზურაბ დათუკიშვილს, აღნიშნული პირები ასევე შეთანხმდენ ანგარიშსწორების პირობებზე. მიუხედავად იმისა რომ, ფიროსმანის ნახატის აზერბაიჯანში გადატანის პირობები რეალურად შექმნილი იყო, 2011 წლის 31 მარტს, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოხდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა დაკავება, ასევე, აღკვეთილი იქნა სურათის არალეგალურად გადატანა.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული, ასევე აქტიურად ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რის საფუძველზეც მხარეთა შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. გარდა ბრალდებულთა აღიარებისა, მათი ბრალეულობა დადასტურებული იქნა სს საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ალექსანდრე ფურცხვანიძეს, გაიოზ ჯავახიშვილს, დავით ზირაქაშვილს სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 5 (ხუთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ჩაეთვალათ პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით; მათ შორის, გაიოზ ჯავახიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ნიკო ფიროსმანის აბრაზე შესრულებული ნახატი — ,,კახური ღვინო“; გელა სანიკიძეს სასამართლომ 6 (ექვსი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელსა და 6 თვეს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო ზურაბ დათუკიშვილს სასჯელის სახედ 6 (ექვსი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

## პარლამენტში ბიუჯეტის პროექტზე პირველადი დასკვნები დღეს მზად უნდა იყოს

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე საპარლამენტო კომიტეტების დასკვნები პარლამენტის თავმჯდომარეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა უნდა წარედგინოს, თუმცა, პარლამენტს პროექტის განხილვის გრაფიკი ჯერ არ დაუმტკიცებია. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, იურიდიული დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის, კონტროლის პალატის და პარლამენტის იმ წევრთა დასკვნებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, პარლამენტის თავმჯდომარეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა წარუდგენს.

ამის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ შესაბამისი დასკვნები საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გადაცემიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა, საქართველოს მთავრობას უნდა გადაუგზავნოს. მთავრობამ კი გადამუშავებული ვარიანტი პარლამენტს, არა უგვიანეს 5 ნოემბრისა უნდა დაუბრუნოს.

ამის შემდეგ, ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უნდა მოხდეს, რის შემდეგაც მთავრობას კვლავ დაუბრუნდება პროექტი გადასამუშავებლად, პარლამენტს კი გადამუშავებული ვარიანტი, 30 ნოემბრამდე უნდა დაუბრუნდეს.

თუ საქართველოს პარლამენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს არა უგვიანეს 31 დეკემბრისა, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად — პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

*ინტერპრესნიუსი*

# სახიფათო თამაში დაწყებულია

## რა შეცვალა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში

გიორგი უძილაური



ბიძინა ივანიშვილი

**დიდი და სახიფათო თამაში დაწყებულია. ივანიშვილის ინიციატივამ, ჩაერთოს პოლიტიკაში არა მარტო შეცვალა ქართული პოლიტიკის კონფიგურაცია, არამედ სრულიად ახალი და რადიკალური რეალობა შექმნა. დღეს უკვე არსებობს ორი პოლუსი — სააკაშვილი და ივანიშვილი. რა თქმა უნდა, იქნებიან ძალები, რომლებიც არც ერთ პოლუსს არ შეუერთდებიან, მაგრამ პოლიტიკის ჯერჯერობით შავ-თეთრ ტონებში აღმქმელი საზოგადოებისთვის იარსებებს ორი ალტერნატივა — ან სააკაშვილი, ან ივანიშვილი.**

თამაში რომ წესების გარეშე ჩაივლის, ეს გარდაუვალია, ავტორიტარულ და განსაკუთრებით კრიმინალურ-ოლიგოპოლიურ რეჟიმებს არ უყვართ თამაშები, რომლებიც მათი დაწყებული არაა. ხელისუფლების რეაქცია ბიძინა ივანიშვილის გამოჩენაზე იმაზე მეტად ისტერიული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. მილიარდერს ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, დააკავეს მისი კუთვნილი „ქართუ ბანკის“ თანამშრომლები და საინკასაციო მანქანა, ემზადებიან ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევებისთვის. 2 კვირაა არ წყდება სიგიჟეში გადასული ისტერია რეჟიმის მიერ კონტროლირებად არხებზე. აბრალებენ მასყველაფერს, დაწყებული კრემლის აგენტობით და ბანდიტიზმით, დასრულებული გაუპატიურების ბრალდებებით. ამას აკეთებენ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც წლების განმავლობაში ეხმარებოდა ხელისუფლებას, ახორციელებდა პროექტებს, რომლებსაც სააკაშვილი საკუთარ მიღწევად ასაღებდა. მაგრამ ამაზე არაა საუბარი, სააკაშვილის ხელისუფლება ასეთი მოცემულობაა და ამაზე მოთქმა არაფრის მომტანია. ხალხმაც იცის, რომ რეჟიმი ყველაფერზე წამსვლელია დაგროვილი ფულისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად და წესით, ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილიც. ბუნებრივია, რომ ხელისუფლება ყველა ხერხს გამოიყენებს მის წინაშე წამოზრდილი საფრთხის წინაშე, საინტერესო სხვა რამეა — როგორ მოიქცევა ივანიშვილი, როგორ მოიქცევა ქართველი საზოგადოება და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ თამაშს.

სასტარტო პირობები როგორც ივანიშვილისთვის, ასევე ხალხისთვის კარგია. ივანიშვილს კარგი იმიჯი აქვს, ხალხს კი შიშის მიუხედავადაც აღარ აქვს შესაძლებლობა გაუძლოს საკონცენტრაციო ბანაკად ქცეულ ქვეყანაში ცხოვრებას, ამიტომ ის მზადაა, წინასწარ მისცეს ნდობის ვოტუმი უცნობ ადამიანს. კარგია თუ არა უცნობი ადამიანის ნდობა, ამ შემთხვევაში არააქტუალურია, რადგან ეს ასეა და ახლო მომავალში ჯერ ვერ გამოსწორდება.

ის, რომ ხალხის დიდი ნაწილი და მათ შორის გაძვალტყავებული ოპოზიციაც მზად არის გაერთიანდეს ივანიშვილის ინიციატივის გარშემო, აშკარაა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს საზოგადოება იცნობს მხოლოდ მისი ორი წერილითა და „როიტერის“ მიერ დაჩეხილ-დამონტაჟებული კომენტარებით, ბევრი უკვე დღეს არის მზად, გარისკოს და მხარი აუბას ახალ ინიციატივას.

საზოგადოების დღევანდელი განწყობა განაპირობა არა იმდენად ქრონიკულმა მესიანიზმმა, რამდენადაც სასოწარკვეთამ და გადარჩენის იმედმა. ივანიშვილი როგორც პოლიტიკოსი, ეკონომისტი, ფინანსისტი თუ არქიტექტორი რე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ალეკო შალამბერიძე: „სკოლები ნაციონალების ბუდედ გადაიქცა“

თეა მარხვაიძე

**ოპოზიცია განათლების სისტემაში არსებული ვითარებით უკმაყოფილოა. მშობლიური ოპოები დიმიტრი შაშკინს იმის გამო შემოსწყრნენ, რომ მან სკოლებში მანდატურები შეიყვანა. მანდატურებით შაშკინთან ერთად მთელი მთავრობაა აღფრთოვანებული. მათთვის ოპოზიციის არგუმენტები მიუღებელია.**

ოპოზიციას ხელისუფლებასთან სხვა პრეტენზიებიც აქვს. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე აცხადებს, რომ სკოლა ნაციონალური მოძრაობის ბუდედ გადაიქცა. ოპოზიციონერი სკოლის დირექტორებს ქურდული მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებს.

ეს განცხადება შალამბერიძემ თბილისის 53-ე სკოლაში დატრიალებული ამბების შემდეგ გააკეთა. ამ სკოლაში 2 დღის განმავლობაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო. აქ გაფიცვა ბავშვებმა გამოაცხადეს. ამას ჩვენი თავმოყვარე ხელისუფლება როგორ აიტანდა. და მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის წინააალმდეგ აქვთ მიმართული ძალები, ეს ამბავიც მოაყომარეს. როგორც სხვა დროს ამჯერადაც ბავშვებზე არნახული ზეწოლა განხორციელდა. მათ მშობლების დასჯითაც კი დაემუქრნენ.

ბავშვებმა გაფიცვა თავიანთი მეგობრის დედის თხოვნით შეწყვიტეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ №53 სკოლიდან გარიცხული ერთ-ერთი მოსწავლის დედამ ლალი ლეკიშვილმა განუცხადა, მისი თხოვნით მოსწავლეები დღეს გაკვეთილებზე შევიდნენ.

– საშინელი ზეწოლა იყო სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან. ემუქრებოდნენ ბავშვებს, მათ მშობლებს კი სამსახურიდან გათავისუფლებით. მე მადლობა გადავუხადე როგორც ბავშვებს, ასევე მშობლებს. აღარ მინდა ისინიც გაერიონ ამ უბედურებაში. ამიტომ ვთხოვე შესულიყვნენ გაკვეთილებზე, – აღნიშნა ლეკიშვილმა.

№53 საჯარო სკოლის მოსწავლეები ორი დღის განმავლობაში აქციებს მართავდნენ. ისინი სკოლიდან ორი მე-11 კლასელის გარიცხვას აპროტესტებდნენ. მოსწავლეების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით. მშობლებისა და ბავშვების განცხადებით, გარიცხვის მიზეზი იყო შელაპარაკება ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის, რის შემდეგაც ბავშვები გაკვეთილიდან გამოაგდეს.

ისინი დაინახა სკოლის დირექტორმა ტარიელ შავშიშვილმა და მიიღო მათი გარიცხვის გადაწყვეტილება. გარდა ამისა, მომხდარის შესახებ შეატყობინა პოლიციას, ბავშვები დაიკითხნენ და მათ წინააღმდეგ, როგორც მშობლები აცხადებენ, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ოპოზიციამ უკვე გაინერვიულა თავი. ალეკო შალამბერიძე პირობას დებს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს. ოპოზიციის ლიდერი დიმიტრი შაშკინს კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.

– საქართველოს საჯარო სკოლებში დირექტორების თავხედობამ უკცე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მრავალი წელია სკოლებიდან მასწავლებლებს უკანონოდ ათავისუფლებენ. ხელისუფლება არც ბავშვების დაპატიმრებას ერიდება, – ამბობს აღშფოთებული შალამბერიძე.

მან გვანცა ყუფარაძის ისტორიაც გაიხსენა. ეს გოგონა 4 წლის წინ დააკავეს სამართალდამცავებმა.

– გვანცა 14 წლის იყო, როცა დააპატიმრეს. ახლა ის 18 წლისაა. მან წელს ჩააბარა ეროვნული გამოცდები. ახლა მიდის ბრძოლა იმაზე, რომ ის გაათავისუფლონ პატიმრობიდან. ხელისუფლება არათუ მის გამოშვებას არ აპირებს, არამედ სხვების დაკავებასაც გეგმავს, – ამბობს შალამბერიძე.

ის 53 სკოლაში მომხდარით სერიოზულად არის აღშფოთებული და ამ საქმის ასე დატოვებას არ აპირებს.

– ის, რაც ამ სკოლაში მოხდა, არის ამაზრზენი. ბავშვი სკოლიდან სრულიად უკანონოდ გარიცხეს. მასთან ერთად გარიცხეს ის ბავშვი, რომელმაც მეგობარი დაიცვა. ბავშვების წინააღმდეგ საქმე აღიძრა. ამ ბავშვებს 5-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

ოპოზიციის ლიდერის შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ სკოლებს ნაციონალებ გარკვეულ იარაღად იყენებენ.


ალეკო შალამბერიძე

– ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ სკოლა ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დანამატად გადაიქცა. დღეს სკოლა არის ნაციონალური მოძრაობის ბუდე. ეს საშინელი ბუდე უნდა დაინგრეს, – ამბობს შალამბერიძე.

მასთან ერთად პრესკონფერენციას პედაგოგთა ასოციაციის წევრებიც ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, უნდა შეიქმნას პედაგოგთა და მშობელთა ასოციაცია.

– გაერთიანება უნდა მოხდეს, რათა ერთად გადავარჩინოთ ბავშვები. უნდა გავერთიანდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების სისტემას წესრიგში ვერ მოვიყვანთ, – მიაჩნიათ პედაგოგთა ასოციაციის წევრებს.

ალეკო შალამბერიძე შაშკინს 53 სკოლის დირექტორის მოხსნას სთხოვს.

– ამ კაცს სკოლაში არაფერი არ ესაქმება. ის არის ნაციონალების ხელის ბიჭი. ის ყოველგვარი ატესტაციის და სერთიფიცირების გარეშე დაინიშნა სკოლის დირექტორად. შაშკინის შაბლონზეა მოჭრილი, ისევე როგორც სხვა დირექტორები. ისინი ერთად „ებრძვიან“ სკოლებში ქურდულ მენტალიტეტს. ამავე დროს თავად იქცევიან ქურდული მენტალიტეტით. ისინი არც კანონს სცნობენ და არც ბავშვების უფლებებს იცავენ, – ამბობს შალამბერიძე.

ის ამტკიცებს, რომ დირექტორი უკანონოდ ზის თავის თანამდებობაზე.

– კანონის თანახმად წელს უკვე სავალდებულოა, რომ სკოლის დირექტორები სერთიფიცირებული იყვნენ, ეს დირექტორი უნდა მოიხსნას. და სკოლებში ნაციონალების ბუდე უნდა დაინგრეს, – ამბობს შალამბერიძე.

ის მშობლებს და მასწავლებლებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება.

სკოლებში არსებული ვითარება სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც გააპროტესტეს. ლეიბორისტები განათლების სამინისტროს რეპრესიული და აგრესიული რეფორმების გატარებაში ადანაშაულებენ.

– მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სკოლები ციხის მსგავს დაწესებულებებად გადააქცია, რასაც 53-ე საჯარო სკოლაში განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს. ფაქტი, რომ სკოლის ორ მოსწავლეს შინაგანაწესის დარღვევისა და ბავშვური ცელქობისთვის 3-დან 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდობის დაშინების მცდელობა, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე გიორგი გუგავამ

ქართველი ლეიბორისტები მიიჩნევენ, რომ ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება.

როგორც გუგავა აცხადებს, ლეიბორისტული პარტია მიმართავს გაეროს ბავშვთა უფლებათა დაცვის კომიტეტს და რეაგირებისკენ მოუწოდებს.

# სახიფათო თამაში დაწყებულია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ალურად ხალხისთვის მეორეხარისხოვანია, მათ აინტერესებთ არა მესია, არამედ ბევრად პრაგმატული მიზანი – ძალების მობილიზაციის და პრინციპულობის შესაძლებლობა, რათა ამის საშუალებით თავი დააღწიონ არსებულ მდგომარეობას.

საზოგადოების ამგვარი განწყობა ნიშნავს, რომ ივანიშვილს გადალახული აქვს რუბიკონი. ან ის ბოლომდე იბრძოლებს სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, მიუხედავად რეჟიმის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი გეგმებისა, ან მთელი მისი ქველმოქმედება, იდუმალი აურა და იმიჯი ხალხის თვალში გაცამტვერდება. ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ღალატით, უნიათობით, ურთიერთშუღლით და არათანმიმდევრობით დაღლილი საზოგადოება დღეს იმდენად დამუხტულია მიმდინარე მოვლენებით, რომ არავის არ აპატიებს უკანდახევას. მაგრამ მანამ, სანამ ეს უკანდახევა გამოჩენილა, საზოგადოება უხვად არიგებს ნდობის კრედიტებს, რის გამოც ხელისუფლების პიარსვლები უშედეგო და კონტრპროდუქტიულია. ხალხის სურვილი, რომ ივანიშვილის წამოწყებულმა ინიციატივამ შედეგი მოიტანოს, უფრო ძლიერია, ვიდრე აქამდე ამავე ხალხში არსებული კრიტიკული დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ, უფრო ძლიერია, ვიდრე სახელისუფლო შავი პროპაგანდა. რეალურად ხელისუფლების ნებისმიერი მოქმედება ივანიშვილის წინააღმდეგ იწვევს ივანიშვილისადმი ხალხის სიმპათიების ზრდას, ეს კი სერიოზული ინვესტიციებია, რომელთა დაბრუნება მილიარდერს მოუწევს კონკრეტული და შედეგიანი მოქმედებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის წააგებს.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დაწყებული თამაშის წაგებით მხოლოდ ივანიშვილი არ დაზარალდება. ხელისუფლება ძლიერდება მის წინააღმდეგ წამოწყებული და ჩაფლავებული ყველა მასობრივი აქციის შემდეგ. ის, რაც 2004-2006 წლებში წარმოუდგენელი იყო, დღეს ჩვეულებრივ მოვნელად იქცა. დღეს არც ერთი მოქალაქე არაა დაცული ციხისგან, სახელისუფლებო რეკეტისგან, სამსახურიდან დათხოვნისა და ფიზიკური ლიკვიდაციისგანაც, მაგრამ ხვალინდელი პერსპექტივა ამ რეჟიმის პირობებში უარესად გამოიყურება.

ხალხისგან ნდობის კრედიტის გაცემა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე არანაკლებ სარისკოა. თუ საზოგადოება ამ თამაშშიც დამარცხდა, მაშინ რეჟიმის ხელი ყველას მისწვდება. არა მარტო მათ, ვინც აქტიურად ეწინააღმდეგება მას, არამედ პასიურ, სეირის მაყურებელ და მედროვე მოქალაქეებსაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – იმ ადამიანებსაც, რომლებიც დღეს ხელისუფლების ან მმართველი პარტიის ორბიტაზე ტრიალებენ და თავს იკავებენ ივანიშვილის ღია კრიტიკისგან. მოკლედ, თუ ივანიშვილის გარშემო შეკრულმა ძალებმა დაიწყეს სწორი მიმართულებით სვლა და საზოგადოება მათ გვერდში დაუდგა, ორივე მხარემ უნდა იცოდეს, რომ უკან დასახევი გზა აღარ იქნება – ან გამარჯვება, ან საკონცენტრაციო ბანაკში გარდაუვალი რეპრესიების მოლოდინში ცხოვრება. ეს უბრალო თამაში იქნებოდა, უბრალო მილიარდერს რომ გამოეთქვა პრეტენზია ხელისუფლებაზე, მაგრამ ეს არაა უბრალო თამაში – ივანიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა და საზოგადოებამ ეს მზადყოფნა მიიღო. მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის რეჟიმის ნასუფრალით მკვებავი ფენებიც ინტერესით და გულისყურით ადევნებენ თვალს ნებისმიერ სიახლეს, რომელიც კავშირშია ივანიშვილთან. ეს კი ივანიშვილის ფაქტორის ქვეცნობიერი თუ ზეცნობიერი აღიარებაა, ეს საშიშ თამაშში ჩართვაა. და მარცხის შემთხვევაში არაფრისმომტანი იქნება თავის მართლება – მე იქ არ ვყოფილვარ, მე მისი არ მჯეროდა და ა.შ. საზოგადოება ზოგადად ჩართულია თამაშში, მისი უდიდესი ნაწილი კი არა მარტო ინტერესით, არამედ იმედით.

რამ შეიძლება ხელი შეუშალოს ივანიშვილს?

როგორც ჩანს, ივანიშვილის გარემოცვაში პროფესიონალი ფსიქოლოგების და სოციოლოგების დეფიციტია, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ისეთი ლაფსუსების თავიდან აცილება, რომლებიც ხელისუფლებამ სათავისოდ გამოიყენა. ხელისუფლება ყურადღებით კითხულობს თითოეულ სიტყვას, კონტექსტსა და მინიშნებას და როგორც კი შანსი მიეცემა, მის საპირისპიროდ იყენებს მათ. მაგალითად, „მე ავაშენებ დემოკრატიას“ უკვე ეწინააღმდეგება დემოკრატიის გაგებას.

მეორე საფრთხე, ეს ხელისუფლების ძალების სათანადოდ არშეფასება და მათზე არასწორი რეაგირებაა. რასაკვირველია, ხელისუფლება დაიწყებდა ტერორს, მოქალაქეობასაც ჩამოართმევდა, დაცვის იარაღსაც და ბანკსაც. ახლო მომავალში უარესიც მოხდება და ამ შემთხვევებისთვის თუ ივანიშვილი მზად არ იქნება, ხალხი იგრძნობს, რომ ის მოუმზადებელია და სურვილი სურვილად დარჩება. გაურკვეველია, რა საჭირო იყო ამდენი საუბარი მოქალაქეობის ჩამორთმევის გასაჩივრებაზე? ჩამოართვეს და ჩამოართვეს. ხომეინიმ საერთოდ საფრანგეთიდან მოაწყო ისლამური რევოლუცია. სახალხო ლეგიტიმაცია უფრო ლეგიტიმურია, ვიდრე არალეგიტიმური ხელისუფლების აპელირება კანონზე.

მესამე საფრთხე გარემოცვაა. ერთის მხრივ, კარგია, რომ პოლიტიკური პარტიები ივანიშვილის გარშემო იკრიბებიან, მაგრამ მეორეს მხრივ ფაქტია, რომ იკრიბებიან პარტიები, რომლებსაც არ გამოუვიდათ რეჟიმის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა, მათი ნაცადი ტაქტიკა არაეფექტურია. თუ საზოგადოება იგრძნობს, რომ ივანიშვილი იქნება უბრალოდ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, ეს არ იქნება საკმარისი მოტივაცია მასების გააქტიურებისთვის.

მეოთხე საფრთხე არათანმიმდევრულობა ან არასაკმარისი თანმიმდევრულობაა. საზოგადოება მოუთმენლად ელის ივანიშვილის განცხადებებს და კომენტარებს, მის პოზიციებს ამა თუ იმ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან, მაგრამ ხანგრძლივი მოლოდინი ზოგჯერ ადუნებს ამ მოლოდინს. იმის გათვალისწინებით, რომ რეჟიმს შეუძლია უახლოეს დღეებში დააპატიმროს ან სხვაგვარად მოახდინოს ივანიშვილის იზოლირება, მან უნდა გააკეთოს განცხადებები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების მობილიზაციას, მხარდაჭერას და მოქმედებების გაგრძელებას. თუ არ იქნება ივანიშვილის მკვეთრი და გასაგები პოზიციები, საზოგადოება ვერ მიხვდება ლოგიკას და კრიტიკულ შემთხვევაში შესაძლოა არც აღმოჩნდეს მზად, მხარი დაუჭიროს ივანიშვილს.

მეხუთე საფრთხე დროა. ისევ ხელისუფლების არაპროგნოზირებიდან გამომდინარე, რთულია მოქმედების რამდენიმე ვარიანტის წინასწარ გათვლა, თუმცა ამის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. თუ ივანიშვილი უახლოეს პერიოდში დაანახვებს საზოგადოებას, რომ პროცესებს აკონტროლებს ის და არა ხელისუფლება, მაშინ წარმატება იქნება, თუ არა და არა. დღეს რეჟიმი დამფრთხალი და დაბნეულია, მას არ შეუძლია გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და ურჩევნია, ხისტი სვლებით ჩაჭრას საფრთხე, მაგრამ თუ გრძელვადიან გეგმებში ხელისუფლება იპოვის სუსტ წერტილს, ის ამას გამოიყენებს.

მოკლედ, თამაში არასაბავშვო და ძალიან სერიოზულია. საპირწონეზეა დადებული, ერთის მხრივ, არსებული რეჟიმის და მეორეს მხრივ, საზოგადოების მომავალი. ამ პოლიტიკურ თამაშში დამარცხების შემთხვევაში საზოგადოებას დიდი ხნით გამოელევა რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა და სურვილი, რაც საბოლოოდ გააჩენს გარე ძალის დახმარების იმედს, ეს გარე ძალა კი სასოწარკვეთის გამო რუსეთი იქნება. მარტივად რომ ითქვას, თამაში მოსაგებია.

## გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა

2011 წლის 18 ოქტომბერს გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულ ზაქარია ლომიძეს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ზ. ლომიძეს თავდაპირველად ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით წარედგინა, საქმის მასალების მიხედვით, მას ბრალად ედებოდა მეზობელთან ურთიერშელაპარაკების ნიადაფზე მისთვის მუცლის არეში დანის დარტყმით ჭრილობის მიყენება.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს, იმის გამო, რომ არ დადასტურდა ზაქარია ლომიძის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის მცდელობის ფაქტი, სასამართლომ ლომიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა და მას სასჯელი, არა მკვლელობის მცდელობისთვის, არამედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის მიუსაჯა.

ზ. ლომიძეს სასამართლომ საბოლოო სასჯელის სახედ 6 წლით გამოსაცდელი ვადა და ჯარიმა განუსაზღვრა.

სასამართლოსვე გადაწყვეტილებით ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

## განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის სასამართლომ ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრდებულ ი. რ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 20 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მცხოვრებმა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, ი.რ-მ განიზრახა, ამავე სოფელში მცხოვრები 1939 წელს დაბადებული თ.ძ-ის გაუპატიურება. Gგანზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი.რ. მივიდა თ.ძ-ს საცხოვრებელ სახლში და ფიზიკური ძალის გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით გააუპატიურა იგი. ი.რ-მ არც ეს იკმარა და ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, განიზრახა მოეკლა ხანდაზმული ქალბატონი პირზე წაკრული მისსივე თავშლით, ასევე თავზე მოახვია ნაქსოვი ჟაკეტი, რამაც სუთქვის საშუალება მოუსპო თ.ძ-ს და იგი გარდაიცვალა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ი.რ. ჩადენილ ქმედებაში დამნაშავედ ცნო და მას უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# სოციალ-დემოკრატების განცხადება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით

პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული უძრავი მდგომარეობა, რომელიც ხელისუფლების პოზიციებს სულ უფრო და უფრო ამყარებდა და ცვლილებების პერსპექტივას სპობდა. გაჩნდა შესაძლებლობები ახალი შინაარსის პოლიტიკური პროცესების დაწყებისა.

ამავე დროს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეალური პერსპექტივა ქვეყნის განვითარებისა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს პოლიტიკის დღის წესრიგში, პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების გააზრებას და დამკვიდრებული პოლიტიკური მოქმედების სტილის ფუნდამენტურ შეცვლას.

აქვე ვთავაზობთ საზოგადოებას ჩვენს ხედვას აუცილებელი ცვლილებების შესახებ.

*„სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“* 18.10.2011

სოციალ-დემოკრატები

## ალტერნატივა საქართველოს განვითარებისთვის

# 16 თეზისი

## პოლიტიკის ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ

### 1. მთავარი, რაც ახასიათებს მიმდინარე მომენტს საქართველოში:

საქართველოში ჩამოყალიბდა კონსოლიდირებული რეჟიმი, რომლის შეცვლა აქამდე აპრობირებული მეთოდებით შეუძლებელია. იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ახალი სტრატეგია ცვლილებებისთვის, აუცილებელია მკაფიოდ გაცნობიერება დღევანდელი ვითარებისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივისა.

საჭიროა დელეგიტიმაცია მითისა, რომ არსებულ მდგომარეობასა და განვითარების დასახულ გზას ალტერნატივა არ აქვს და ჩვენი სურვილისდამიუხედავად მას უნდა შევეგუოთ.

### 2. სოციალური სტრუქტურა

ჩამოყალიბდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა:

ერთი მხრივ გაბატონებული კლასი – გაბატონებული ოლიგარქიული ჯგუფი, მასთან კლიენტელისტური წესით დაკავშირებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად (მაღალი ბიუროკრატია, პრაქტიკულად, მასთან სრულად შეზრდილი მსხვილი ბიზნესი). ეს კლასი არ შეადგენს საქართველოს მოსახლეობის 10%-საც კი. დღეს ქონებისა და შემოსავლების უდიდესი და სულ უფრო მზარდი წილი ოლიგარქებისაა.

მეორე მხრივ – დაქვემდებარებული კლასი, დანარჩენი მოსახლეობა, რომლის უდიდესი უმრავლესობა პრაქტიკულად მოკლებულია განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას.

### 3. გაბატონებული კლასი

გაბატონებული კლასი ყველა საშუალებით იცავს არსებულ მდგომარეობას. ის სულ უფრო და უფრო აძლიერებს და გააძლიერებს ინსტიტუტებს, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ მდგომარეობის შენარჩუნებას.

შედეგად მივიღეთ:

- საკუთრებისა და კაპიტალის კიდევ უფრო მეტი კონცენტრაცია ოლიგარქიული ჯგუფის შიგნით
- საზოგადოებრივ და კოლექტიური საკუთრების, კაპიტალისა და საზოგადოებრივი სიკეთეების განუხრელი შემცირება, და ზოგადად, საკუთრების პრივატიზება ვიწრო ჯგუფების მიერ (ბუნება, წყალი, ისტორიული მემკვიდრეობა, განათლება, ჯანდაცვა)
- მმართველობის კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზება და კონცენტრირება
- საზოგადოებაზე კონტროლის მექანიზმების განმტკიცება: სასამართლო, ძალოვანები, მაკონტროლებლები, მედია.

### 4. მარგინალიზაციის პერსპექტივა

პერსპექტივაში ამგვარი პოლიტიკა კიდევ უფრო გაუსაძლის მდგომარეობას შეუქმნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, აქცევს მათ მარგინალებად, მოუსპობს შესაძლებლობას იცხოვრონ სრულფასოვანი მოდერნული ცხოვრებით.

ფიზიკური არსებობის პირობების პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი (რაც ბევრისთვის დღესაც მძიმე პრობლემაა, საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა აღმოჩნდება უუნარო მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაში.

ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს ქვეყნის განვითარების მთავარი ძალის, მთავარი რესურსის (ხალხის პოტენციალის) შესუსტებას, ან სრულ განადგურებას. სხვა სიტყვებით – ქვეყნის განვითარების პერსპექტივის მოსპობას.

### 5. ბრძოლა გაბატონებულ კლასთან

გაბატონებული კლასი არ და ვერ დათმობს ბატონობას და ძალაუფლებას. დისკუსიას ამ თემაზე აზრი არა აქვს. საჭიროა მისთვის ამ ძალაუფლების წართმევა და მთელი საზოგადოებისთვის – ხალხისთვის გადაცემა.

ჩვენ წინ გვიდგას სისტემური ცვლილებების ამოცანა. საჭიროა არა ერთი სისტემის შიგნით მმართველობის შეცვლა (ახალი გაბატონებული უმცირესობის შექმნა), არა პერსონალური, არამედ სისტემური ცვლილება – ძალაუფლება უნდა ჩამოერთვას გაბატონებულ ჯგუფს და სამუდამოდ გადაეცეს ერთადერთ სუვერენს, რომელიც აღარასდროს დაკარგავს ძალაუფლებას – ეს სუვერენია ხალხი!

### 6. ახალი გზების ძიება

გაბატონებული კლასისთვის ხალხის მიერ ძალაუფლების წართმევა არსებულ ვითარებაში და სისტემაში შეუძლებელია როგორც არჩევნების, ასევე რევოლუციის მეშვეობით. დღეს ამგვარი გზების პროპაგანდა არის შედეგი შეუგნებელი შეცდომის ან შეგნებული სიცრუისა, რაც სინამდვილეში ხელს შეუწყობს (და უწყობს კიდეც) სისტემისა და გაბატონებული კლასის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას და საბოლოო ჯამში არსებული რეჟიმის კიდევ უფრო განმტკიცებას.

### 7. ძალა ხალხშია

გაბატონებული კლასის ძალაუფლება, არსებული რეჟიმი დამარცხდება და სისტემა შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხის უმრავლესობა სრული ძალითა და ენერგით იბრძოლებს ამ ცვლილებისთვის.

ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადამიანებს, ერთი მხრივ, ესმით არსებული მდგომარეობის სრული უპერსპექტივობა და დამღუპველობა, ხოლო მეორე მხრივ აქვთ იმედი, რომ მათი ბრძოლა შედეგს გამოიღებს.

პირველ ყოვლისა ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ ალტერნატივა არსებობს და ამ ალტერნატივის დამკვიდრება მათი საქმეა და არა ვინმე სხვისი.

დაქვემდებარებულმა კლასმა უნდა დაიწყოს პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური მოქმედება!

### 8. უარვყოთ დამკვიდრებული წესრიგი

ჩვენ, როგორც უარვყავით 20 წლის წინ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა, ნომენკლატურული კლასის ბატონობა, ასევე უნდა უარვყოთ დღეს დამკვიდრებული ნეოლიბერალურ წესრიგად წოდებული სისტემა და გაბატონებული ოლიგარქიული ჯგუფის ძალაუფლება.

ამ ბრძოლაში ჩვენი იარაღია ნამდვილი დემოკრატია, რომელშიც რეალურად გადაწყვეტილებებს იღებენ თავისუფალი და თანასწორი ადამიანები, თვითმართვას ახორციელებს ხალხი საკუთარი პასუხისმგებლობითა და მუდმივი კონტროლით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

### 9. კარგი საზოგადოება

თუ ჩვენ უარვყოფთ როგორც საბჭოთა, ისე დღევანდელ სისტემას, მაშ, როგორი საზოგადოება და სისტემა მიგვაჩნია „კარგად“?

რომელია „კარგი საზოგადოება“ რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით? არსებობს თუ არა შესაბამისი მოდელი და ნიმუში?

მომავალი თავისთავად არ არსებობს. მომავალს ქმნიან თავად ადამიანები.

არ არსებობს არც მოდელები საზოგადოებრივი წესრიგისა, რომელთა კოპირებაც შესაძლებელია, მაგრამ თუ მაინც, მინიშნება გვსურს, ეს არის ევროპული სოციალური და დემოკრატიული სისტემა, განსაკუთრებით ის ფორმები, რომლებიც დამკვიდრებულია ჩრდილოეთ ევროპაშ – ფინეთში, შვეციაში, დანიაში, ნორვეგიაში.

„კარგი საზოგადოება“ – ეს არის საზოგადოება თანასწორი და თავისუფალი ადამიანებისა, სადაც შემოსავლები და სიმდიდრე მნიშვნელოვნად თანასწორად არის გადანაწილებული, სოლიდარობა და კოლექტიური პასუხისმგებლობა ინდივიდუალურთან თანაარსებობს და სახელმწიფო ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით ახდენს საბაზრო ეკონომიკის რეგულირებას. განსხვავებები არ უნდა ემუქრებოდეს საზოგადოების ერთიანობასა და ეფექტიან განვითარებას.

### 10. დავამარცხოთ უმუშევრობა, უსაქმურობა, უვიცობა, სიღატაკე, ავადმყოფობა

მთავარი ორიენტირი ეკონომიკური პოლიტიკისა უნდა გახდეს: ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ყველასათვის. მხოლოდ ეს ნიშნავს რეალურ განვითარებას და არა არითმეტიკული, მარტივი ეკონომიკური ზრდა. ჩვენი ამოცანაა საფუძვლების მომზადება მოდერნული განვითარებისთვის.

ამისთვის ჩვენ უნდა დავამარცხოთ უმუშევრობა, უსაქმურობა, უვიცობა, სიღატაკე, ავადმყოფობა.

### 11. სახალხო თანამშრომლობის ჯგუფები

იმისთვის, რომ დაიწყოს პოლიტიკური ბრძოლა რადიკალური ცვლილებებისთვის პირველ რიგში საჭიროა ხალხის, და უპირველეს ყოვლისა, დაქვემდებარებულთა კლასის შესაბამისი თვითცნობიერების ჩამოყალიბება.

ეს უნდა განხორციელდეს არა ვინმეს მიერ ხალხის განათლების, სწავლების გზით, არამედ თავად ხალხში, ყველგან და ყველას მონაწილეობით ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე დიალოგსა და დისკუსიებში. აზრების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლობა საკითხების გარკვევასა და, სადაც შესაძლებელია, გადაწყვეტაში – აი, ალტერნატივა მანიპულაციური პროპაგანდისა.

ამ საქმეში ჩვენ ვერ გამოვიყენებთ მასმედიას, რომელსაც თითქმის სრულად აკონტროლებს გაბატონებული კლასი.

მთავარი საყრდენი ჩვენი მოძრაობისა უნდა იყოს ნებაყოფლობითი სახალხო თანამშრომლობის ჯგუფები.

ჩვენ უნდა შევქმნათ „სახალხო თანამშრომლობის ჯგუფები“, რომლებიც აიღებენ ინიციატივას, ხელს შეუწყობენ აზრთა გაზიარებას დიალოგური ფორმის მეშვეობით და თანამშრომლობის დაწყებას ადგილებზე ტერიტორიული, პროფესიული, მეგობრული, სამეზობლო, სათემო თუ სხვა პრინციპებით.

- უშუალო საუბარი და თანამშრომლობა, დიალოგი ადამიანებს შორის
- ინტერნეტი, სოციალური ქსელები
- საცნობარო ფურცლები და დოკუმენტები.

### 12. ვინ არის მამოძრავებელი ძალა ცვლილებისა?

ტრადიციულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში XIX და XX სს-ში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მუშათა კლასი. მას ხშირად მხარს უმაგრებდა გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, ინტელექტუალური შრომით დაკავებული ჯგუფები.

დღევანდელ ვითარებაში, კერძოდ საქართველოში, მთავარი მამოძრავებელი ძალაა სტუდენტობა, ახალგაზრდობა, ეს არიან ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან თავად შექმნან მომავალი, იბრძოლონ და იმოქმედონ იმგვარი საზოგადოებისთვის, სადაც იქნება სამუშაო, თანასწორობა, პერსპექტივა საკუთარი თავისა და ქვეყნის განვითარებისა.

ამ მოძრაობაში აქტიურად უნდა ჩაერთოს გლეხობა, რეალური და პოტენციური საშუალო კლასი, დღეს თითქმის დეგრადირებული, ფუნქციადაკარგული და უფლებააყრილი ინტელიგენცია, აგრეთვე წვრილი და საშუალო ბიზნესი, ნაციონალური ბურჟუაზია.

### 13. სოლიდარობა ჩვენი ერთობისა და პატრიოტიზმის საფუძველი უნდა გახდეს

პატრიოტიზმი ვერ დაეფუძნება მხოლოდ ლინგვისტურ და ეთნიკურ ერთგვაროვან იდენტობას, ან აბსტრაქტულ სამშობლოს ცნებას. სამშობლო ეს არის ერთობა ადამიანებისა, რომლებსაც აერთიანებთ საერთო ბედი. ე.ი. ამ ერთობის წევრთა ბედი ერთმანეთთან დაკავშირებულია. სამშობლო – ეს უპირველესად არიან ადამიანები, რომლებიც სოლიდარულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები.

### 14. მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს

საგარეო პოლიტიკაში და კონფლიქტებთან მიმართებაში უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს.

მეტიც, ვიდრე სისტემის რადიკალური ცვლილება არ განხორციელდება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი რეალურ საფუძველს მოკლებულია და უნდა მოიხსნას პოლიტიკის დღის წესრიგიდან. დღეს იგი გამოიყენება მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის.

ინტეგრაცია, შემდგომში, ჩვენ თანამოძმე აფხაზებთან და ოსებთან უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშვიდობიანად და სოლიდარულად.

### 15. ჩვენ ვცხოვრობთ ერთ პლანეტაზე დედამიწაზე

ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ იზოლაციონიზმი დღეს შეუძლებელია. ომი ხალხებს შორის არის შედეგი გაბატონებული ჯგუფების გავლენებისთვის ბრძოლისა. ომი უნდა იქცეს ისტორიად! ჩვენ სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ ომის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ძალას და აქტიურად ვიბრძოლოთ ომის გამჩაღებელი ჯგუფების წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ინტენსიური თანამშრომლობა ყველა იმ ძალებთან უცხოეთში და საერთაშორისო მასშტაბით, ვინც იბრძვის თანასწორობისა და ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებისთვის მთელ მსოფლიოში.

### 16. შეცვლა შეგუების ნაცვლად

განვლილი 2 ათწლეულის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკა იყო არსებულ ვითარებასთან, სისტემასთან შეგუება. თუ ნამდვილად გვინდა განვკარგოთ ჩვენი ბედი და მომავალი უნდა გადავწყვიტოთ მისი – სისტემის, (ვითარების) შეცვლა!

განზრახვა ამბიციურია, მაგრამ ღირსი განხორციელებისა. სწორედ ძნელი საქმეა ის საქმე, რომლის გასაკეთებლადაც ღირს რომ ილვაწო, დახარჯო ენერგია და ძალა, გაიღო ყველაფერი!

შეიძლება ბევრმა გვითხრას, რომ ეს გრძელი გზაა. მაგრამ ეს გზა არც გრძელია და არც მოკლე – ეს ერთადერთი გზაა!

თუ ჩვენ ამ გზას დავადგებით მხოლოდ მაშინ მივალთ მიზანთან! მოძრაობისას გზა დამოკლდება და მიზანი ბევრად უფრო მალე იქნება მიღწეული, ვიდრე დღეს წარმოგვიდგენია!

ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია და ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ!

# რატომ ჩამოართვეს მეპატრონეს ნიკო ფიროსმანის „კახური ღვინო“

## ნახატის აზერბაიჯანში გატანა აღკვეთეს, დანაშაულში მონაწილეები გაასამართლეს

შალვა ჯოხაძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკო ფიროსმანის ნახატის საზღვარზე უკანონოდ გატანის მცდელობის ფაქტზე დაკავებულების საქმის განხილვა დაასრულა.

დანაშაულში ადამიანთა ჯგუფი იყო ბრალდებული. განსასჯელის სკამზე ისხდნენ გელა სანიკიძე, გაიოზ ჯავახიშვილი, დავით ზირაქაშვილი, ზურაბ დათუკიშვილი და ალექსანდრე ფურცხვანიძე.

საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი გაიოზ ჯავახიშვილი 2010 წლის ზაფხულიდან მის მფლობელობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ნიკო ფიროსმანის აბრაზე შესრულებული ნახატის – „კახური ღვინის“ 500 000 აშშ დოლარად გაყიდვას გეგმავდა. მიუხედავად იმისა, რომ სურათის საზღვარგარეთ ლეგალურად გატანის უფლება არ ჰქონდა, ის შპს „იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელ გელა სანიკიძესა და ალექსანდრე ფურცხვანიძეს დაუკავშირდა. მათი მეშვეობით, გაიოზ ჯავახიშვილმა გიორგი სტარჟინსკის სურათის შეძენა და არალეგალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა შეთავაზა. შეთანხმებისამებრ, ფიროსმანის ნახატის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა ადვოკატ დავით ზირაქაშვილსა და ზურაბ დათუკიშვილს უნდა უზრუნველეყოთ. ეს პირები ანგარიშსწორების პირობებზეც შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფიროსმანის ნახატის აზერბაიჯანში გადატანას უკვე ხელს აღარაფერი უშლიდა, წელს, 31 მარტს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს. მათ სურათის არალეგალურად გატანა ველარ მოახერხეს.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული, ასევე აქტიურად ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რის საფუძველზეც მხარეთა შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. გარდა ბრალდებულთა აღიარებისა, მათი ბრალეულობა სს საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობითაც დადასტურდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ალექსანდრე ფურცხვანიძეს, გაიოზ ჯავახიშვილსა და დავით ზირაქაშვილს სასჯელის ზომად თითოეულს 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ჩაეთვალათ პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით; მათ შორის, გაიოზ ჯავახიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ნიკო ფიროსმანის აბრაზე შესრულებული ნახატი „კახური ღვინო“; გელა სანიკიძეს სასამართლომ 6




წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელსა და 6 თვეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო 5 წელი პირობითად ჩაეთვალა, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. ზურაბ დათუკიშვილს სასჯელის სახედ 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.



# გივი თარგამაძეს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით საუბარი არ სურს

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით საუბარი არ სურს.

ჟურნალისტების კითხვაზე – თუ რა არის იმის მიზეზი, რომ მას კომენტარის გაკეთება არ სურს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით არც ერთ დეტალზე, გივი თარგამაძემ უპასუხა, რომ „არ უნდა და იმიტომ“.

შესაბამისად, გივი თარგამაძემ არ უპასუხა კითხვებს – არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საშიში, რაც შეიძლება მისთვის მოქალაქეობის აღდგენისას გახდეს გადამწყვეტი და, ასევე, არ უპასუხა კითხვას – რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილის წერილში დაფიქსირებულ პოზიციაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით.

ინტერპრესნიუსი

# რას არ თმობს ხელისუფლება მომავალ საარჩევნო კოდექსში

შალვა ჯოხაძე

**იმის მიუხედავად, თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში მოვლენები, საარჩევნო კანონმდებლობა მაინც გვესაჭიროება, თანაც ჯანსაღი და გამართული, ისეთი, რომელიც საბოლოოდ გამორიცხავს იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც მმართველ გუნდს გაყალბების საშუალებას არ მისცემს. თუმცა, ეს, ალბათ, ოცნების სფეროა – საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსის ისეთი პროექტი შექმნა და გაპარებას უპირებს, რომ უკეთესობას ნამდვილად არ უნდა ველოდეთ.**

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ ამ პროექტთან დაკავშირებით ერთობლივი შენიშვნები შეიმუშავეს.

არასამთავრობოების შენიშვნები ეხება ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტით შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მარეგულირებელ ნორმებს, არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის საკითხებს, საარჩევნო სიების ფორმირებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო დავების პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ამ ორგანიზაციების მიერ დაყენებული საკითხების ნაწილის გაზიარებაზე უარი არ თქვა,

არის თემები, რომლებიც განხილვას და, შესაბამისად, ცვლილებას აღარ დაექვემდებარება. მაგალითად, ასეთებია: დეპუტატთა რაოდენობის ზრდა, ამომრჩეველთა სიების ფორმირება სპეციალური კომისიის მიერ... თუმცა, არის ისეთი თემებიც, რომელთა შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დისკუსიის გაგრძელების სურვილი არსებობს, მათ შორის არის მარკირების პროცედურის გაუქმების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის საკითხები.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიას გავესაუბრეთ. ლომჯარიას განცხადებით, მომავალ კოდექსში არაკონსტიტუციური ნორმაა ჩადებული.


ნინო ლომჯარია

**ნინო ლომჯარია:**

– არაკონსტიტუციურია დეპუტატების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული სიახლე. ეს რაოდენობა 150-დან 190-მდე იზრდება. რადგანაც დეპუტატთა რაოდენობა – 150 რეფერენდუმის გზით დამტკიცდა, მაშინ ზრდაც რეფერენდუმის გზით უნდა მოხდეს. სწორედ ამაში მდგომარეობს შემოთავაზებული ცვლილების არაკონსტიტუციურობა. ამას გარდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს არაკონსტიტუციური ცვლილება განხორციელდება, 190 დეპუტატამდე ზრდა მაინც ვერ გადაგვიჭრის რეალურად არსებულ პრობლემას, რასაც სხვადასხვა საარჩევნო ოლქში ამომრჩევლის ხმების არათანასწორუფლებიანობა ჰქვია. პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გამოგვიცხადა, რომ ისინი განხილვას აღარ დაექვემდებარება, ეს საკითხები საბოლოოდაა დახურული.

რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან თემებს, შენიშვნები გვქონდა წინასაარჩევნო კამპანიის მარეგულირებელ ნორმებთანაც, მაგალითად, ის, რომ დღეს არსებული პროექტის მიხედვით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არ იზღუდება. მეორე ის, რომ იზრდება იმ საჯარო მოსამსახურეების რიცხვი, რომლებსაც შეუზღუდავად შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, საკითხი ღიადაა, იურიდიულ კომიტეტს არ უთქვამს, რომ ცვლილებას არ დაექვემდებარება. მათი მხრიდან დამოკიდებულება ისეთია, რომ ამ საკითხებზე შესაძლებელია იმსჯელონ. შესაძლოა, ჩამოვყალიბდეთ იმ ადამიანების სიაზე, რომელთაც წინასაარჩევნო პროცესში მონაწილეობა აეკრძალებათ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის ფორმულირებაზეც უნდა ვიფიქროთ.

***– კონკრეტულად ვის შეუძლია, რომ მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო კამპანიაში?***

– პროექტის თანახმად, ესენი არიან: პრეზიდენტი, მინისტრები და მათი მოადგილეები, გამგებლები, საკრებულოს წევრები და თავმჯდომარე. ამ სიას ემატება გუბერნატორებიც. მიგვაჩნია, რომ თანამდებობის იმ პირებს, რომლებიც არჩევითები არ არიან, საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში. წესით, ისინი პოლიტიკური ნიშნით თანამდებობაზე მოსული ადამიანები არ არიან. საკრებულოს წევრები სხვა კატეგორიას წარმოადგენენ. მათ შეიძლება ნაკლებად შეეზღუდოთ პოლიტიკური აქტიურობა, ვიდრე, მაგალითად, მინისტრების მოადგილეებს თუ გუბერნატორებს. განსაკუთრებულ პრობლემას ვხედავთ იმაში, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები – გამგებლები და გუბერნატორები მიიღებენ მონაწილეობას, რადგანაც ეს არიან ადამიანები, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა აქვთ ადგილზე, მიუხედავად იმისა, გავლენ თუ არა შვებულებაში. მოგეხსენებათ, პრაქტიკაში დანერგილია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი თანამდებობის პირები შვებულებაში გადიან და ასე ილებენ კამპანიაში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაშიც კი მათი სტატუსი ხომ უცვლელი იქნება.

***– ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება მართლაც სერიოზულ პრობლემად რჩება. ფაქტობრივად, ფულადი სახსრები ბიუჯეტიდან ამომრჩეველთა პირდაპირ მოსყიდვაზე იხარჯება. ამის აღმოსაფხვრელად რა კონკრეტული გეგმა შესთავაზეთ იურიდიულ კომიტეტს?***

– ადმინისტრაციულ რესურსში არა მარტო ფულად სახსრებს ვგულისხმობ, არამედ, ზოგადად, საჯარო მოხელეების მონაწილეობას წინასაარჩევნო კამპანიაში. ამის აღმოსაფხვრელად ერთადერთი საშუალება ისაა, რომ ამ ადამიანებს კანონის ძალით აეკრძალოთ კამპანიაში მონაწილეობის მიღება. აკრძალვის შემდეგაც პრობლემა იქნება იმის გაკონტროლება, რომელი საჯარო მოხელე გამოიყენებს ბიუჯეტის თანხით შეძენილ ქაღალდს, პრინტერს, ბენზინს. ამ ყველაფრის მონიტორინგი, მტკიცებულებების მოპოვება რთული იქნება, თუმცა, რაღაც შეზღუდვას მაინც დააწესებს.

***– მას შემდეგ, რაც თქვენი შენიშვნები შევიდა პარლამენტში, არაფერი შეცვლილა, რეაგირება არ ყოფილა?***

– იურიდიულმა კომიტეტმა კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტული წინადადებების შემუშავება გვთხოვა. ამიტომაც სხვადასხვა შეხვედრას ვმართავთ. 20 ოქტომბრიდან ვიწყებთ რეგიონებში გასვლას. მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის ჩამოსვლაც საქართველოში, რომლის დასკვნაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

***– ვენეციის კომისიის ჩამოსვლა როდისთვის იგეგმება?***

– ეს ოქტომბრის ბოლოს იქნება და, სავარაუდოდ, დეკემბერში მისი დასკვნაც დაიდება.

***– თქვენი შენიშვნები როდისთვის უნდა იყოს მზად და კონკრეტულად რომელ რეგიონებში აწყობთ შეხვედრებს?***

– შეხვედრები იქნება ქუთაისში, ბათუმში, თელავში, სავარაუდოდ, ზუგდიდსა და გორშიც. აქ ფართო აუდიტორიასთან მოხდება შეხვედრა, რომელსაც ყველა დაინტერესებული პირი დაესწრება. ესენი იქნებიან არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები.

***– თქვენი შენიშვნები რომ არ გაითვალისწინონ, როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება შესაძლებელი სამართლიანი არჩევნების ჩატარება?***

– დღეს არსებული პროექტის თანახმად, ის ნამდვილად აუარესებს დღეს არსებულ პირობებს. თუმცა, ხელისუფლების დაპირება, რომ ცვლილებები შეიძლება შევიდეს, გვაძლევს საშუალებას, მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორდეს.

***– როდესაც პროექტი იწერებოდა, მაშინ რატომ არ ჩაერთეთ არასამთავრობოები?...***

– არასამთავრობოებსა და პოლიტიკოსებს არ მისცეს პროცესში ჩართვის საშუალება. მისი ინიცირება სრული მოულოდნელობა იყო ჩვენთვის. ეს ძალიან ცუდია, რადგანაც, რომ გვცოდნოდა, ასეთ ფორსმაჟორში არ ვიქნებოდით და თავიდანვე მონაწილეობას მივიღებდით ამ პროცესში.

***– ასეთ შემთხვევაში რა იქნებოდა ის ძირითადი საკითხი, რომელსაც ხელისუფლებას შესთავაზებდით? ალბათ, ერთ-ერთი ძირითადი თემა სიების ფორმირების პროცესი იქნებოდა...***

– ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები არის მთლიანად სისტემა, საარჩევნო კამპანია, სიები, საარჩევნო დავების განხილვა, საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები.

საარჩევნო სიებს რაც შეეხება, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად, სამი მოსმენით, პარლამენტში მიიღეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სიების ფორმირება დროებითმა კომისიამ უნდა მოახდინოს. ეს კომისია შედგება არასამთავრობოებით, პოლიტიკოსებით (ხელისუფლებიდანაც და ოპოზიციიდანაც). ჩვენი პოზიციის თანახმად, ასეთი კომისია არ უნდა იყოს დროებითი და მეორეც, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის არასამთავრობოების დონეზე გადაწყვეტაც არ არის მისაღები.

# ივანიშვილს მილიონებს ართმევენ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მერცბანკში“ და მეორე შემთხვევაში – ნიღ ორგ „დოიჩე ბანკიდან“ „სითი ბანკში“.

„თუ უნიადლი ფული შავია, რას ესხმი თავს ინკასაციის მანქანას, გამოიძიე იქვე გერმანიაში ან აშშ-ში. ამ ქმედებით უნდათ ბანკის დატერორება, კლიენტების შეშინება ან ფულის წართმევა. ინკასაციის მანქანა „საქართველოს ბანკის“ ტერიტორიიდან არც გამოსულა, მოლარეები შენობაში იმყოფებოდნენ. მათ შენობაში ვიყავით, მათ ტერიტორიაზე, კომენტარს რატომ არ აკეთებენ?“ – აცხადებს ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილი წართმეული თანხის დაბრუნებას მოითხოვს.

„3 მილიონი კი არაფერს დააკლებს ბანკს, მაგრამ, თუ არ დააბრუნებენ, ჩვენ მოგვიწევს, გამაგრებისთვის მივმართოთ სხვა კომერციულ ბანკს ან ეროვნულ ბანკს. თუმცა, ამისთვის ჯერ გარანტიები მჭირდება, რომ სხვა თანამშრომლებსაც არ დააკავებენ. ეროვნული ბანკი ვალდებულია, ყოველგვარი უკანონობისგან დაიცვას კომერციული ბანკი“, – აცხადებს ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილის განმარტებით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფულის გათეთრების ოპერაცია არ შეიძლება ინკასატორმა განახორციელოს. ის არის გადამზიდავი. თუ ბანკი ასეთ დანაშაულებრივ ქმედებას სჩადის, მაშინ დამნაშავეები კომპანიის ზედა რგოლებში უნდა ეძებონ. ხშირ შემთხვევაში ინკასატორმა საერთოდ არ იცის, რა დევს ტომარაში. ის ლუქს ამოწმებს და თანხა გადააქვს.

შეგახსენებთ, შს სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს. შსს-ს ცნობით, მათ თან დიდი ოდენობით ნაღდი ფული ჰქონდათ. სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ფაქტზე აღიძრა. „ქართუს“ ინკასაციის მანქანა ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისთან დააკავეს. მათ ერთი მილიონი ევრო და ორი მილიონი დოლარი ამოიღეს. ამ ფაქტს ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო ბიზნესმენის წინააღმდეგ აგრესიულ და კრიმინალურ შეტევად აფასებს.

დაკავებული იყვნენ „ქართუს“ თანამშრომლები: მოლარეები – ინგა ჯავახია, ირმა ქეთიშვილი, ლია მაღრაძე, ნატო დავითულიანი, ინკასატორები – არჩილ ჯაფარაშვილი და ზაზა ყაველაშვილი. ისინი მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

„ქართუ ბანკის“ 100%-იანი წილის მფლობელი სს „ქართუ ჯგუფია“, რომლის დამფუძნებელი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილია. სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „როსიისკი კრედიტი – ქართუ“ 1996 წელს დაფუძნდა. ერთი წლის შემდეგ მან საბანკო ლიცენზია მიიღო. 1998 წელს სააქციო საზოგადოება კომერციულ ბანკს სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ დაერქვა. 1998 წელს ბანკმა მიიღო ფასიანი ქაღალდების გამოშვების უფლება და ამ დროიდანვე ბანკი ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებს. 2011 წლის 30 ივნისის მონაცემებით, ბანკის მთლიანი აქტივები 188 476 201 ლარია. უცხოურ ვალუტაში აქტივების მოცულობა 331 677 951 დოლარია. ჯამში, ბანკის აქტივები სულ 520 154 452 ათასი ლარს შეადგენს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, აქტივებისა და პასივების მოცულობით „ქართუ ბანკი“ საქართველოში მოქმედ 21 ბანკს შორის მეხუთე ადგილზეა.

# რუსების ხელში აფხაზები სულ „რიბას“ მდგომარეობაში იქნებიან

## რა დანიშნულება აქვს დომინოს აფხაზებისთვის

თეა მარხვაიძე

**აფხაზეთში დომინოში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო. ჩემპიონატი აფხაზეთის სიამაყემ დენის ცარგუშმა გახსნა. ამ ღონისძიებისთვის აფხაზები დიდი ამბით მოემზადნენ, მას დიდი მოვლენა უწოდეს და თქვეს, მალე სპორტის სხვა სახეობებშიც ჩავატარებთ მსოფლიო ჩემპიონატსო. დომინოს ამბავი ჩვენებურებმა კარგად იცოდნენ. ხელისუფლებამ პროტესტიც კი გამოხატა, მაგრამ ვინ გიგდო ყური. აფხაზეთში დიდი ტურნირი დაიწყო. აფხაზებმა, სხვათა შორის, ამ ჩემპიონატზე დასწრება გვირჩიეს.**



ჩვენ შეთავაზება, ბუნებრივია, არ მივიღეთ.

აფხაზებისთვის ეს საზეიმო მოვლენა ჩვენებურებმა საშაყირო თემად აქციეს. ექსპერტთა კლუბისთვის კი მიუღებელია ის, რომ ამ საკმაოდ ჩვეულებრივ ამბავს დიდი პოლიტიკური სარჩული დაუდეს აფხაზეთში.

— გასაგებია, რომ აფხაზური და რუსული რეჟიმები ამ ღონისძიებას დიდ მიღწევად აფასებენ. მათთვის ეს მორიგი საშუალებაა, დააფიქსირონ და ხალხს მორიგი ტყუილი ჩასძახონ აფხაზეთის ცნობადობის გაფართოების შესახებ. განა ხუმრობაა, რომ ამერიკელიც კი ჩამოიყვანეს სოხუმში, რითაც თითქოს შექმნეს შთაბეჭდილება, რომ ოდესლაც ამერიკული საზოგადოებაც კი შეიძლება დაითანხმონ ამ ოკუპირებული ტერიტორიის აღიარებაზე. ასეთი იმედები კი ახლა ძალიანაც საჭიროა, რადგანაც მათი „დამოუკიდებლობის“ ამღიარებელი უგო ჩავესი ხელიდან ეცლებათ აღიარებასთან ერთად, — აცხადებენ ქართველი ექსპერტები.

ჩვენებურები გულს იმით იმშვიდებენ, რომ დომინოს არ გააჩნია რაიმე სპორტული შეჯიბრის სტატუსი მსოფლიოში.

— არც მისი მსოფლიო ჩემპიონატი არის აღიარებული, ასეთივე დიდი შემართებით მათ შეუძლიათ სოხუმის სანაპიროზე ბაყაყების „მსოფლიო რბოლა“ ჩაატარონ. თუმცა რუსეთისთვის და სოხუმისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. აფხაზების მონაწილეობის რუსეთში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებსაც ხომ „საერთაშორისოდ“ მოიხსენიებენ. ამიტომაც სრულიად არ იყო გასაკვირი, რომ დომინო და პოლიტიკა აფხაზეთში ერთმანეთს შეერწყა, — აღნიშნავენ ექსპერტთა კლუბში.

ექსპერტებს სწყინთ, რომ ამ გაუგებრობას მხარი ამ ჩემპიონატის მონაწილე მხარეებმაც აუბეს, მაგალითად აშშ ფედერაციის პრეზიდენტმა მანუელ ოკენდომ.

ჩვენებურები ამას თავისებურ ახსნას უძებნიან.

— თითოეული იქ მონაწილისათვის ნებისმიერი პიარი და თავის შეხსენება მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ მათ მსოფლიოში კი არა, ალბათ საკუთარ ქალაქებშიც არ იცნობენ. გამონაკლისი ნამდვილად არც ამერიკელი „პრეზიდენტი“ გამხდარა და პირველივე შემთხვევაში შეეცადა, საქართველოს ხელისუფლებისათვის ჩირქი მოეცხო. ვინაიდან ამ ჩემპიონატის აფხაზეთში ორგანიზების, ისევე როგორც მისი უცხოელი მონაწილეების ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოყვანის თავი და თავი რუსეთია, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ოკენდოს განცხადებები პრეზიდენტ სააკაშვილთან მიმართებაშიც უხვად არის დაფინანსებული მოსკოვის მიერ, რაც სრულებითაც არ არის გასაკვირი, — ამბობენ ექსპერტთა კლუბში.

იქვე ისიც დაამატეს, რომ ოკენდოს იმდენიც არ უთქვამს, რამდენიც მას კუდი მოაბეს.

ოკენდოს თქმით, მას პირადად დაურეკა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და სთხოვა, რომ საქართველოშიც შეექმნათ ფედერაცია, რათა მომავალში ასეთი შეჯიბრი ჩვენს ქვეყანაშიც გამართულიყო. ამის შემდეგ ოკენდო საკმაოდ უცნაურ განცხადებას აკეთებს — „მე საქართველოს პრეზიდენტის წინადადების იგნორირება მოვახდინეო.

— ჯერ ერთი, პრეზიდენტის შეთავაზებაში ნამდვილად არაფერია გასაოცარი, თუ მან მოინდომა საკუთარი ქვეყნის ხილვა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, თუნდაც ისეთში, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ აფხაზეთმა გაგვაგებინა და მეორეც — განცხადება პრეზიდენტის წინადადების (არა თხოვნის, არა მოთხოვნის) იგნორირების შესახებ, როგორც მინიმუმ, უზრდელობაა. სამაგიეროდ ამ განცხადებებმა მისცეს აფხაზებსა და რუსებს საშუალება კიდევ ერთხელ გადასულიყვნენ შეტევაზე საქართველოს წინააღმდეგ დაადანაშაულესრა ის ამ ღონისძიების მონაწილეებზე ზეწოლაში. მათი განცხადებით, ზეწოლის მიზანი იყო მასობრივი თავყრილობების ჩაშლა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც ქართველთა ეთნიკური წმენდა განხორციელდა, — ამბობენ ექსპერტები.

ასე რომც იყოს, რაში ტყუის თბილისი? განა არ უნდა შეეშალა ხელი რუსეთის ნებისმიერი მცდელობისათვის, მოახდინოს რამენაირად ამ ტერიტორიის ლეგიტიმაცია? ექსპერტების თქმით, თუ ასეთ ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მისასალმებელია.

— საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, მოახდინოს ყველა სახის რეაგირება საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვაზე. ასე რომ, თუ ვინმეს სოხუმში ჰგონია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს გამოეკიდებიან თბილისში იმის გამო, რომ ის ითხოვდა ამ ღონისძიების არა აფხაზეთში, როგორც „დამოუკიდებელ“ ერთეულში, არამედ როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილში ჩატარებას, ძალიან შეცდა. ეს მოქმედებები, როგორც მინიმუმ, ხელისუფალთა ვალდებულებების ნაწილია, — წერენ ქართველი ექსპერტები.

ისინი ყურადღებას რუსი ჟურნალისტების განცხადებებზეც ამახვილებენ. ამიტომ კრივენიუკი თავის ბლოგში ძალიან აღშფოთებული წერს: როგორ შეუძლია ამ ხალხს (გულისხმობს ქართველებს), არა მარტო მათ ლიდერს, ჰქონდეს იმედი რაიმე მინიმალური ნდობა მოიპოვონ (აფხაზების), თუ მათი სახელმწიფოს ერთადერთი მიზანია ჩვენს სახელმწიფოს ზიანი მიაყენოს. იმის მაგივრად რომ თქვან, კარგები ხართ, მოდით, მომავალში ერთად რამე გავაკეთოთ, მოგეხმარებით რაიმე უფრო სტატუსიანი ღონისძიებების ჩატარებაში, ქვეყნის მთელი პროეზიდენტი ურეკავს დომინოს მოთამაშეს და მას ჩემპიონატის ჩაშლას სთხოვს. რა ნაბიჯიც არ უნდა გააკეთოს პატარა აფხაზეთმა, რომ თავისი თავი გააცნოს მსოფლიოს, მთელი ოთხმილიონიანი ქვეყანა ყალყზე დგება“.

— ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეს მხოლოდ ემოციური გამოხდომაა. ამ ემოციაში ჩადებულია ნათელი გზავნილი იმ ქართველი ლიბერალებისადმი, რომლებიც მზად არიან, აკრიტიკონ პრეზიდენტი მიზეზით თუ უმიზეზოდ, ვინც აფხაზი სეპარატისტების ჩახუტებას და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობების ლეგიტიმაციას პროპაგანდირებს. ამ განცხადების მერე ზოგიერთი ხმამაღალი ბოდიშებით უნდა გამოვიდეს და ყველაფერში ისევ საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი დაადანაშაულოს. სამწუხაროდ, ასეთები საქართველოში მომრავლდნენ. და ერთი წუთითაც არ იფიქრებენ იმას, რომ ტერმინები „სახელმწიფო“, „ცნობადობის გაზრდა“ აფხაზეთთან მიმართებაში სწორედ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაა და ამ ჟურნალისტის იდეაშიც სწორედ ის დევს, რომ თავისი მოქმედებებით ოფიციალურმა თბილისმა თურმე აფხაზეთის აღიარებას ხელი უნდა შეუწყოს. ძალიან შემცდარა კრივენიუკი, თუ ფიქრობს, რომ ვინმე ხელს გაანძრევს საქართველოში იმისათვის, რომ მას სასათბურე პირობები შეუქმნან „დამოუკიდებელ აფხაზეთში“. იმიტომ, რომ ოკეანე, რომელშიც დღეს აფხაზეთი იძირება და რომელსაც რუსეთი ჰქვია, მათი არჩევანია. დახმარების ხელი ამ ოკეანიდან ამოსათრევად თბილისმა ბევრჯერ გაუწოდა მათ, მაგრამ სამწუხაროდ, პასუხად მხოლოდ ფურთხი მივიღეთ. მიუხედავად ამისა, დიდი მაზოხისტური გამოვლინებებით ზოგიერთი კიდევ აგრძელებს ბოდიშების მოხდას აფხაზებისათვის იმისათვის, რომ მათ არ მიეცათ საშუალება ბოლომდე ამოეჟლიტათ მთელი ქართველი მოსახლეობა, ზოგიც მათ დემოგრაფიულ გადარჩენაზე და ზოგიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს, — ასკვნიან ექსპერტები.

დომინოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის გამოყოფილია 20 მილიონი რუბლი. სადაური რუბლი და ვის მიერ, მგონი, გასაგებია. რუსული ფულით, რუსული დიპლომატიის მცდელობებით, რუსული ორგანიზებით ოკუპირებულ აფხაზეთში ტარდება ისეთივე დონის ღონისძიება, როგორი დონის აღიარებების მიღწევაც მოახერხა რუსეთმა აფხაზეთისათვის. პატარა ნაურუსა და ტუვალუს ზომის პატარა ღონისძიება, რომელიც არც ლეგიტიმაციას შემატებს აფხაზებს, არც ფინანსურად გააძლიერებს, არც მათ ცნობადობას გააფართოებს და თუ გააფართოებს — უფრო მეტი ადამიანი გაიგებს, თუ ვისთან აქვს საქმე. ასე რომ, იმის იმედით, რომ რუსეთის მიერ თვალის ასახვევად დააფინანსებს ღონისძიებებს, რომელთა შედეგი ბოლოს წართმეული აიბლა და სანატორიუმები იქნება, აფხაზები ყოველთვის, დომინოს ენაზე რომ ვთქვათ, „რიბას“ მდგომარეობაში იქნებიან. ვის უფრო მეტი შერჩება ხელთ, ამას დრო გვიჩვენებს.

# საქართველო ევრაზიის კავშირში არ შევა

**საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი ეწვია. ესტონეთის პირველმა დიპლომატმა შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან გამართა. ურმას პაეტმა თავის ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძესთან დახურულ კარს მიღმა გამართა შეხვედრა.**

ნათია ხურცილავა



გრიგოლ ვაშაძე და მისი ესტონელი კოლეგა

მინისტრებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ურმას პაეტმა და გრიგოლ ვაშაძემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

მინისტრებმა შეხვედრაზე განხილულ საკითხებზე ისაუბრეს. როგორც ცნობილია, ესტონეთი საქართველოს მეგობარი და მხარდამჭერი ქვეყანაა.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ესტონეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროები, ტრადიციულად, წელიწადში ორჯერ მაინც ხვდებიან ერთმანეთს. ვაშაძის განცხადებით, ახლა ჯერი ესტონეთზე იყო და, დათქმისამებრ, ურმას პაეტი თბილისს ეწვია.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი საქართველოსადმი მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევა.

გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ შეხვედრაზე მან ურმას პაეტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

საუბრის თემა ასევე იყო ეუთოს მომავალი მინისტერიალი.

— ყველაფერზე ვისაუბრეთ, რაც ორივე მხარის ინტერესს წარმოადგენს, უპირველესად ყოვლისა — ორმხრივ თანამშრომლობაზე, პოლიტიკურსა და ეკონომიკურზე. ვისაუბრეთ საქართველოს გზაზე, იმ პოლიტიკაზე, რომ ნატოსა და ევროკავშირში სრულფასოვანი გაწევრიანება მოხდეს. ასევე ვისაუბრეთ იმ როლზე, რომელიც ამ საქმეში ესტონეთმა უნდა ითამაშოს. ასევე ვისაუბრეთ მომავალ ეუთოს მინისტერიალზე, ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაზე. ბატონ მინისტრს ასევე მივაწოდე ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანის უფლებების კუთხით ოკუპირებულ რეგიონებში. ასევე ვისაუბრეთ იმ ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელიც საქართველოსა და ესტონეთშია. დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ესტონეთი წარმოადგენს წარმატებული ქვეყნის მაგალითს თავისი კარგად გააზრებული ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის გამო. ეს მაგალითი საქართველოს მიერ შესასწავლია, — განაცხადა პრესკონფერენციაზე გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა პუტინის ინიციატივაზეც გააკეთა კომენტარი.

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ევრაზიის კავშირის იდეით გამოდის, სადაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები შევლენ.

ცხადია, ამ კავშირს პრეტენზია არ ექნება არც ევროკავშირის ანალოგიაზე და არც ნატოში გაწევრიანებაზე. მეტიც, ის იქმნება ევროკავშირის საწინააღმდეგოდ.

გრიგოლ ვაშაძის კომენტარი ამ საკითხზე ასეთია:

— ჩვენი პოზიცია ძალიან მკაფიოდ იქნა გამოხატული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ყველა სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება, შექმნას ეკონომიკური ან პოლიტიკური ორგანიზაცია, კავშირი. რაც შეეხება ერთიან საბაჟო სივრცეს, ევრაზიის კავშირს ან სხვა ორგანიზაციას, რომელიც რუსეთის ფედერაციის ეგიდით არის შექმნილი, საქართველოს არავითარი სურვილი და გეგმა არა აქვს ამ ორგანიზაციასთან მიერთებისა. აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს მეგობრებთან ერთად იმაზე, რომ საქართველო ევროკავშირისა და ნატოს წევრი გახდეს, იმ ორგანიზაციისა, რომლის ღირებულებები, ფასეულობები, პრინციპები სრულიად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მისწრაფებებსა და მიზნებს, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ევროკავშირის მიახლოების გზაზე საქართველო მიდის, მაგრამ, მთავარი გახლავთ ის, რომ უამრავი რამ არის კიდევ გასაკეთებელი. რაც შეეხება ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობას, მომავალში ამ შეთანხმების ხელმოწერაც მოხდება. უნდა დაიწყოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები. ეს პროცესი დაიწყება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად მოხდეს სავიზო რეჟიმისაგან გათავისუფლება, — განაცხადა ურმას პაეტმა.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადება კიდევ ერთხელ გააკეთა.

## „სახალხო კრება“ ბიძინა ივანიშვილს სოლიდარობას უცხადებს

„სახალხო კრების“ აღმასრულებელმა საბჭომ 18 ოქტომბერს სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ბიძინა ივანიშვილის ბანკი „ქართუს“ ექვსი თანამშრომელი და საინკასაციო მანქანის, „ქართული ოცნების“ მაისურების გავრცელების გამო ბერა ივანიშვილის მეგობრის ლევან მდინარაძის, ივანიშვილის ფონდის ხელმძღვანელის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, დედოფლისწყაროს პოლიციის ყოფილი უფროსის თამაზ თამაზაშვილის დაკავების გამო საგანგებო განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია, რომ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ეს არ არის უბრალო დამთხვევა, ეს გახლავთ ხელისუფლების მხრიდან გამოცხადებული ომი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

„სახალხო კრება“ დაარსების პირველივე დღეებიდან განიცდის პოლიტიკურ რეპრესიებსა და დევნას სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან, რომელიც დღემდე ყველაზე მძიმე მეთოდებით ხორციელდება. ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს დიქტატორ სააკაშვილთან და მის ტერორისტულ მანქანასთან მარტო ბრძოლა. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის მხრიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათი ხედვები ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ხედვასთან თანხვედრაში, ასეთ ფაქტებზე თვალის დახუჭვა სააკაშვილის დიქტატურის გაძლიერებას ნიშნავს.

მივმართავთ ხელისუფლებას!

ბიძინა ივანიშვილის განცხადების გამოქვეყნებიდან დღემდე თქვენმა ქმედებამ მთელს მსოფლიოს და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსახლეობას ნათლად დაანახა „სახალხო კრების“ მიერ არაერთხელ გაცხადებულის სიმართლე, რომ ნაციონალური მოძრაობა ტერორისტული მეთოდებით მართავს ქვეყანას, რომ ის არ დაუშვებს რეალურად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რომ არ შეეგუება ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის შექმნის პატარა შანსსაც კი, თუნდაც ეს პოლიტიკური ძალა აცხადებდეს, რომ ის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას და არა მშვიდობიან რევოლუციას“, — ნათქვამია კრების განცხადებაში.

„სახალხო კრება“ სოლიდარობას უცხადებს ბიძინა ივანიშვილს მის წინააღმდეგ დაწყებული პოლიტიკური რეპრესიების გამო და მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინონ ქვეყანაში აშკარა პოლიტიკური დევნის ფაქტთან დაკავშირებით.

**მედიანიუსი**

# ჟანეტა ქერდიყოშვილი „მის მსოფლიოზე“ გაფრინდა

ეკა ირემაშვილი

**19 წლის „მის საქართველო“ ჟანეტა ქერდიყოშვილმა ყველა პრობლემა მოაგვარა და 19 ოქტომბერს დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. როგორც სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრში“ „ახალ თაობას“ განუცხადეს, ჟანეტამ დოკუმენტებთან არსებული ყველა პრობლემა მოაგვარა, დიდი ბრიტანეთის ვიზა დროულად მიიღო და ლონდონში „მის მსოფლიო 2011“-ზე მონაწილეობის მისაღებად უკვე გაემგზავრა. „მის მსოფლიოს“ სათავო ოფისში თავიდანვე განმარტეს, რომ საქართველოს წარმომადგენელს მათი მხრიდან სილამაზის კონკურსში მონაწილეობისთვის არანაირი დაბრკოლება არ შეექმნებოდა.**



ჟანეტა ქერდიყოშვილმა სილამაზის კონკურსში „მის საქართველო“ საქართველოს პასპორტით მიიღო მონაწილეობა, თუმცა იგი რუსეთის მოქალაქე იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, „იმიჯ ცენტრი“ კიდევ ერთ სკანდალში გაეხვა. სილამაზის კონკურსის ორგანიზატორმა ია კიწმარიშვილმა „დიდუბე პლაზაში“ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ ამის შესახებ თავადაც არაფერი იცოდა. ია კიწმარიშვილმა და ჟანეტა ქერდიყოშვილმა საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით მიმართეს, დროულად მიენიჭებინა მის საქართველოსთვის საქართველოს მოქალაქეობა, რათა მას დიდ ბრიტანეთში გამგზავრება და „მის მსოფლიოსთვის“ მზადება დროულად დაეწყო. როგორც სამოქალაქო რეესტრში განაცხადეს, ჟანეტა ქერდიყოშვილმა რუსეთის მოქალაქეობა გასულ წელს მიიღო, ამიტომ ავტომატურად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. წელს კი 15 აგვისტოს ჟანეტამ საქართველოს ხელისუფლებას კვლავ მიმართა თხოვნით, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით.

– ის აფხაზეთში დაიბადა. საომარი ვითარების დროს ოჯახი რუსეთში გადავიდა, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდა. ჟანეტს თბილისის №51-ე სკოლა აქვს დამთავრებული და ახლა უნივერსიტეტის სტუდენტია. მან განაცხადის შემოტანისას პასპორტი წარმოადგინა, თუმცა, არ ვიცოდით, თუ ის ორმაგი მოქალაქის სტატუსის მოლოდინში იყო. საქმის კურსში ჩავაყენე კონკურს „მის მსოფლიოს“ თავმჯდომარე ჯულია მორლეი. მან გულთან ახლოს მიიტანა არსებული ვითარება და გამოგვიგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სხვა 120 კონკურსანტთან ერთად ჟანეტ ქერდიყოშვილსაც გულითადად ელის. ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს, ჟანეტს დროულად მიენიჭოს ორმაგი მოქალაქის სტატუსი, რომ მან შეძლოს დიდ ბრიტანეთში „მის მსოფლიოში“ მონაწილეობის მიღება, – განაცხადა ია კიწმარიშვილმა.

ორმაგი მოქალაქის დროულად მინიჭება საქართველოს პრეზიდენტს თავად „მის საქართველო 2011“-მაც სთხოვა. ჟანეტა ქერდიყოშვილს არ დაუმალავს, რომ ის საქართველოში სპეციალურად ამ კონკურსში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი სანქტ-პეტერბურში ცხოვრობს, ჟანეტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობს.

ჯერ კიდევ სილამაზის კონკურსის სკანდალი არ ჰქონდა მონელებული, რომ ჟანეტას ოჯახს დიდი ტრაგედია შეემთხვა – მისი 9 წლის და ანიტა მეექვსე სართულიდან გადმოვარდა. უბედური შემთხვევა თბილისში, ბენდელიანის ქუჩაზე №4 კორპუსში მოხდა. ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ის სახლში მშობლებს 17 წლის ძმასთან ჰყავდათ დატოვებული. უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა ძმამ სახლი რამდენიმე წუთით დატოვა. შინ დაბრუნებულს კი ბავშვი ეზოში გადმოვარდნილი დახვდა. 9 წლის ანიტა ქერდიყოშვილი რამდენიმე წუთის განმავლობაში ცოცხალი იყო, ის ადგილზე არ გარდაცვლილა. ბავშვი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანისას გზაში გარდაიცვალა.

ამდენი ტკივილის მიუხედავად, 19 წლის ჟანეტ ქერდიყოშვილმა მაინც შეძლო მობილიზება და 6 ნოემბერს მზად არის „მის მსოფლიოზე“ საქართველო წარმოაჩინოს.

როგორც ია კიწმარიშვილმა განაცხადა, არსებული სკანდალების მიუხედავად, „მის მსოფლიოზე“ „მის საქართველოს“ მონაწილეობის მიღებაში ორგანიზატორებისგან პრობლემა არ შეექმნება. მან „მის მსოფლიოს“ ორგანიზატორები საქმის კურსში თავიდანვე ჩააყენა, შექმნილი ვითარება განუმარტა და კითხვით მიმართა, დართავდნენ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლებას საქართველოს წარმომადგენელს ჟანეტ ქერდიყოშვილს. ია კიწმარიშვილის თქმით, მას დაუკავშირდა „მის მსოფლიოს“ ორგანიზატორი ჯულია მორელი, რომელმაც განაცხადა, რომ სიამოვნებით იხილავდა კონკურსში საქართველოს წარმომადგენელს ჟანეტ ქერდიყოშვილს.

19 წლის ლამაზმანთან დაკავშირებით, კიდევ ერთი სკანდალი აგორდა – მისი მეზობლები ირწმუნებოდნენ, რომ ჟანეტი განათხოვარი იყო. ია კიწმარიშვილი კი ამტკიცებს, რომ „მის საქართველოს“ ხელი აქვს მოწერილი ხელშეკრულების სპეციალურ დანართზე, სადაც მითითებულია, რომ ის არ ყოფილა გათხოვილი და არ ჰყავს შვილი. ჟანეტ ქერდიყოშვილმა მის ქორწილზე საუბარი არ ისურვა და ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ თუ ტელევიზიით მისი მეზობლები ალაპარაკეს ქორწილის შესახებ, სხვა მეზობლებიც უნდა ეჩვენებინათ, რომლებიც ქორწილის ფაქტს უარყოფდნენ.

– „მის მსოფლიომ“ დაუშვა ჟანეტის კონკურსში მიღება, მას უკვე აქვს ორმაგი მოქალაქეობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი და ვიზა. ჟანეტი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა და „მის მსოფლიოზე“ საქართველო უნდა წარმოაჩინოს. მას ბევრი ცუდი რამის გადატანა მოუწია, ერთ-ერთი მისი 9 წლის დის დაღუპვაა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჟანეტმა თავს მობილიზება გაუკეთა, ოჯახიც მხარს უჭერს და „მის მსოფლიოზე“ ის თავისი სურვილით გაემგზავრა, – განაცხადა „მის საქართველოს“ ორგანიზატორმა ია კიწმარიშვილმა.

ჯანეტა ქერდიყოშვილის განცხადებით, იგი დიდ მხარდაჭერას გრძნობს საზოგადოების მხრიდან, მადლიერია იმ ადამიანებისა, ვინც მას მხარდაჭერა აღმოუჩინა ამ პერიოდში და იმედოვნებს, რომ მისთვის ეს კონკურსი წარმატების მომტანი იქნება.

„მის მსოფლიო“ ლონდონში 6 ნოემბერს გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას 120 ქვეყნის ლამაზმანი მიიღებს. ჟიურის და მაყურებლის წინაშე „მის საქართველო 2011“ კომპანია „მაიონელა“-ს მიერ შექმნილი საღამოს კაბით წარდგება. ჟანეტა ქერდიყოშვილი დიდ ბრიტანეთში მარტო გაემგზავრა, თუმცა მას მოგვიანებით ია კიწმარიშვილიც შეუერთდება. როგორც „იმიჯ ცენტრში“ აცხადებენ, „მის საქართველო 2011“ საქართველოში 8 ნოემბერს დაბრუნდება.

# ვინ ბლოკავს პანტომიმის თეატრს?

ეკა ირემაშვილი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დასრულდა. მასში მონაწილეობა ქართულ საფესტივალო პროგრამაში თბილისის ყველა თეატრმა მიიღო, საქართველოს პანტომიმის თეატრის გარდა. რა გახდა პანტომიმის თეატრის ფესტივალს მიღმა დარჩენის მიზეზი, ამის გარკვევას პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელთან ამირან შალიკაშვილთან ვცადეთ.

**ამირან შალიკაშვილი:**

– გულახდილად რომ ვთქვა ყველაფერი, ეს სკანდალს გამოიწვევს. ერთი რამ ვიცი მხოლოდ – არასოდეს აღარ მივიღებ მონაწილეობას საქართველოში გამართულ არც ერთ ფესტივალში. ეს არის დრამატული თეატრების ფესტივალი. მე მაგათთან არ შევდივარ. მე სხვა კაცი ვარ, მე ღმერთთან მაქვს საქმე და ღმერთს ვესაუბრები. ამათთან რა საქმე მაქვს? მე ჩემი ღმერთი მყავს ხელოვნების და მხოლოდ მასთან მაქვს საქმე. მე არ ვიცი, ესენი რანი არიან და ვინ არიან. ესენი ისევე კომუნისტები არიან, ძალიან ძლიერად დაბრუნებულები და გააქვთ ერთი და იგივე სისტემა. მე კი ერთი და იგივე სისტემას არასოდეს ვემორჩილებოდი და არც დავემორჩილები. კომუნისტების დროს სამჯერ დამიხურეს თეატრი. რას ჩამაცივდნენ? იმას ჩამაცივდნენ, რომ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თბილისში გამარჯვებული კინოფილმები აჩვენეს

ეკა ირემაშვილი

თბილისში 2011 წლის გამარჯვებული ფილმების ჩვენება ევროპის დამოუკიდებელმა კინოსფესტივალმა მოაწყო. ეკუ – ევროპის დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი, რომელიც 8 სექტემბერს პარიზში გაიმართა, აგრძელებს მსოფლიო ტურნეს და სხვა ქვეყნების ეშმდეგ თბილისს ესტუმრა.

– 2011 წლის ფესტივალის გამარჯვებული ფილმების სპეციალური ჩვენება კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა. თბილისური ფესტივალის მიზანია, საქართველოში კინემატოგრაფის ის ტენდენციები გახდეს ცნობილი საზოგადოებისთვის, რაც ფილმის შემქმნელებსა და მაყურებლებს წლიდან წლამდე უნარჩუნებს ინტერესს ევროპის დამოუკიდებელი კინო ფესტივალის მიმართ, – განაცხადა ღონისძიების კურატორმა ელენე დუმბაძემ.

წელს ეკუ-ს ფესტივალზე პარიზში მონაწილეობდა თორნიკე ბზიავას „აპრილის სუსხი“, რომელმაც გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო დამოუკიდებელი მოკლემეტრაჟიანი ფილმი“.

– ჩვენ გასაოცარი ნიჭიერება დავინახეთ ქართულ ფილმში „აპრილის სუსხი“, რომელმაც იბრძოლა და გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო დამოუკიდებელი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ეკუ 2011“ ფესტივალზე. ძალიან მოხარულები ვართ იმით, რომ ჩვენი ფილმები საქართველოს წარვუდგინეთ და მოუთმენლად ველით უფრო მეტ კინოხელოვანთან შეხვედრას, ქვეყნიდან, სადაც ასე სწრაფად და აქტიურად ვითარდება კინო კულტურა, – აღნიშნა ეკუს კინო ფესტივალის პრეზიდენტმა სკოტ ჰილიერმა.

ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა ენახა ევროპის 19 საუკეთესო დამოუკიდებელი ფილმი, 14 სხვადასხვა ქვეყნიდან, ნომინაციებში – მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური, ანიმაციური და ექსპერიმენტული. ფესტივალის ფარგლებში „ეკუ“-ს პრეზიდენტმა და ოსკაროსანმა რეჟისორმა სკოტ ჰილიერმა მასტერკლასებიც გამართა.

„ეკუ“ – დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი საქართველოში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრის, თიბისი ბანკისა და „ნიკორას“ მხარდაჭერით გაიმართა.


## SMS-განცხადებები – 3090

- თუ გსურთ უმაღლესი ხარისხის რულონური გაზონით გაალამაზოთ თქვენი ეზო, დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 579-54-17-89.
- ვყიდი მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.
- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# რეალმა ბოლო წლების შური ერთიანად იძია

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში, მადრიდის „რეალი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ასპროცენტიან შედეგს 3 თამაშის შემდეგაც ინარჩუნებს. ამასთან, მადრიდელებს ჯერ საკუთარ კარში გოლიც არ მიუღიათ.

ჰო, ეს ტური იმითაც იყო გამორჩეული, რომ უჩვეულოდ ბევრი ავტოგოლი გავიდა.

### ა ჯგუფი

**ნაპოლი-ბაიერნი 1:1**

***0:1 კროოსი (2), 1:1 ბადშტრუბერი (39ავ)***

49-ე წუთზე გომესმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (მეკარე)

ტურის ცენტრალური მატჩში ანგარიში სწრაფი გოლით გაიხსნა. უკვე მე-2 წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ბოატენგის პასი კროოსმა საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო და ანგარიშის გახსნა გასჭირვებია. ანგარიში 39-ე წუთზე გათანაბრდა – მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილი მაჯოს გამჭოლი პასის შემდეგ, ბადშტრუბერმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ბავარიელებს შეეძლოთ ასპროცენტიან შედეგთან ერთად ევროტურნირებში საიუბილეო, მე-200 გამარჯვება ეზეიმათ, მაგრამ მე-2 ტაიმის დასაწყისში, გომესმა „ბაიერნის“ წინ გაყვანა ვერ შეძლო – გერმანელმა თავდამსხმელმა, 11 მეტრიდან, მეკარეს ვერ აჯობა.

**სიტი-ვილიარეალი 2:1**

***0:1 კანი (4), 1:1 მარჩენა (43ავ), 2:1 აგუერო (90)***

ჯგუფის მეორე მატჩშიც ბოლო წუთამდე 1:1 იყო, მაგრამ „სიტიმ“ მაინც მოახერხა გამარჯვების მომტანი გოლის გატანა. ნეაპოლში გამართული დაპირისპირების მსგავსად, ანგარიში აქაც სწრაფად და ამჯერადაც სტუმრებმა იხეირეს. მე-4 წუთზე „სიტის“ ფეხბურთელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და ბურთი მეტოქეს ჩააბარეს, რასაც ჯერ როსის დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მეკარემ მოიგერია, თუმცა პირველი ბურთთან კანი გაჩნდა და ანგარიშის გახსნა. ანგარიში ამ მატჩშიც პირველი ტაიმის მიწურულს გათანაბრდა და ამ შემთხვევაშიც ავტოგოლით. 43-ე წუთზე, მარცხენა ფლანგიდან კოლაროვის ჩაწოდების შემდეგ, ჯეკოს მარჩენამ დაასწრო, რომელმაც ბურთს საკუთარი კარში მიუჩინა ადგილი.

„სიტიმ“ დიდი უპირატესობა მატჩის მიწურულს გამოიყენა, როდესაც ბერის ფლანგური პასის შემდეგ სილვა ბურთი ქუსლით შორეულ ძელთან გადაამისამართა, სადაც აგუერო დაუხვდა და გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| 2.ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.სიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 4.ვილიარეალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### ბ ჯგუფი

**ლილი-ინტერი 0:1**

***0:1 პაცინი (21)***

„ინტერმა“ ზედიზედ მე-2 გასვლით მატჩში იმარჯვა და ბ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა. საფრანგეთის ჩემპიონთან მილანელებმა ანგარიში 21-ე წუთზე გახსნეს, როდესაც სარატეს პასის შემდეგ პაცინიმ ეფექტური გოლი გაიტანა.

მატჩის დარჩენილ დროში, დიდ უპირატესობას ფრანგები ფლობდნენ, მაგრამ „ინტერმა“ მოახერხა და კარი მშრალად შეინარჩუნა.

**ცსკა-ტრაბზონსპორი 3:0**

***1:0 დუმბია (29), 2:0 კაუნა (76), 3:0 დუმბია (86)***

არმიელები მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ეს ყველაფერი ანგარიშშიც აისახა.

რუსთა გუნდიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დუმბია, რომელმაც დუბლი მიითვალა, მესამე გოლი კი ძალიან ეფექტური და ტექნიკური გამოუვიდა. მის გოლებს შორის თავი არმიელთა ახალწვეულმა, საქართველოს ნაკრების გამამწარებელმა კაუნამაც გამოიჩინა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 2.ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| 3.ტრაბზონსპორი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| 4.ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |

### ც ჯგუფი

**ოცელული-მანჩესტერი 0:2**

***0:1, 0:2 რუნი (64პ, 90პ)***

როგორც იქნა მოიგო „მანჩესტერმა“, თუმცა ეს გამარჯვება გვარიანი ოფლის ღვრად დაუჯდა.

უპირობო ფავორიტად მიჩნეულ „მანჩესტერს“ უსუსტესი რუმინული გუნდის დამარცხება გაუჭირდა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა პირველი გოლი მხოლოდ 64-ე წუთზე გაიტანა – კოსტინმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და რუნიმ პენალტი გაიტანა.

მალევე, მსაჯმა ვიდიჩი სახიფათო თამაშისთვის მოედნიდან გააძევა და მანჩესტერელთა გამარჯვება ეჭვქვეშ დადგა, მაგრამ მატჩის მიწურულს, მოედანზე ფეხბურთელთა თანაფარდობა აღდგა – ამჯერად პერენდიჟა იქნა გაძევებული. 90-ე წუთზე კი, რუნის წაქცევისთვის, მასპინძელთა საჯარიმოში მეორე პენალტი დაინიშნა, რომელიც დაზარალებულმა თავად შეასრულა ზუსტად.

**ბაზელი-ბენფიკა 0:2**

***0:1 სეზარი (20), 0:2 კარდოსო (75)***

მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „ბენფიკამ“. აქამდე გუნდებს თანაბარი ქულები ჰქონდათ, ახლა კი პორტუგალიელები სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

გოლები თავიანთ ანგარიშზე სეზარმა და კარდოზომ ჩაიწერეს.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2.მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| 3.ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| 4.ოცელული | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

### დ ჯგუფი

**რეალი-ლიონი 4:0**

***1:0 ბენზემა (19), 2:0 ხედირა (48), 3:0 ლორისი (55ავ), 4:0 რამოსი (81)***

ბოლო წლებში „რეალის“ რისხვად მოვლენილი „ლიონთან“ ამჯერად მადრიდში შერცხვა. მიმდინარე წელს მადრიდული გუნდი ამ წყვილში გამოკვეთილი ფავორიტი იყო და ჟოზე მოურინიოს შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ ასეც არის. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ მატჩში, პირველი გოლი რონალდუს თავური პასის შემდეგ ყოფილ თანაგუნდელებს ბენზემამ გაუტანა.

მე-2 ტაიმი უფრო უხვგოლიანი გამოდგა. ჯერ კარგად მოთამაშე ბენზემამ ხედირა ისეთ პოზიციაში დატოვა, რომ ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

55-ე წუთზე, მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილი იოზილი კარის გასწვრივ პასს აკეთებდა, მაგრამ ადრესატამდე მისვლა ლიონელთა მეკარე ლორისმა არ აცადა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

შეხვედრას წერტილი სერხიო რამოსმა დაუსვა, რომელმაც 81-ე წუთზე, კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლა მოიგო და სტუმართა კარი ძლიერი დარტყმით აიღო.

**დინამო (ზ)-აიაქსი 0:2**

***0:1 ბოერიგტერი (49), 0:2 ერიკსენი (90)***

ამ მატჩის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ზაგრებული გუნდი ევროპის ლიგაზეც ველარ გადაინაცვლებს და ბოლო ადგილს ვერავინ შეეცილება.

„აიაქსმა“ კარგად ითამაშა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ჯგუფში მის უმთავრეს კონკურენტად „ლიონი“ რჩება და მასთან მოუწევს შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობის გარკვევა.

ამსტერდამელთაგან კი ზაგრებში თავი ბოერიგტერმა და ერიკსენმა გამოიჩინეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| 2.აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 3.ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| 4.დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

# ლიპარტელიანმა დიდი პრიზი მოიგო

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში მიმდინარე დიდ პრიზზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა 3 მედალი აილო, აქედან ერთი უმაღლესი სინჯის. ოქროს მედლის მფლობელი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანი აღმოჩნდა, ამირან პაპინაშვილსა (60კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილს (მძიმე) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.



მივყვეთ თანმიმდევრობით: 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალიან ცოტა მონაწილე იყო და ტურნირი მეთექვსმეტედფინალით დაიწყო. პაპინაშვილმა, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი, დიდი პრიზი ამერიკელი აარონ კუნიჰიროს ვაზარ-იუკოთი აჯობა, ხოლო ყაზახ აშხატ ტელმანოვს მესამე წუთზე იპონით მოუგო. ყველაზე რთული ბრძოლა მეოთხედფინალში გადაიტანა, სადაც ბრაზილიელ ბრენო ალვეშს მხოლოდ იუკოთი აართვა და ნახევარფინალში გასვლით მედალიც გაინაღდა, რადგან დიდ პრიზზე რეპეშაჟის წესი არ მოქმედებს. სამწუხაროდ, ბრინჯაოს ბარიერის გადალახვა ველარ შეძლო – ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში მონღოლ ბოლდბაატარ განბატთან ასევე იუკოთი დამარცხდა და ბრინჯაოს დაჯერდა.66 კილოგრამში გიორგი შოშიაშვილმა იჭიდავა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გავიდა ტატამზე – პირველსავე წრეში მომავალ ჩემპიონს, იაპონელ მასააკი ფუკუოკას გადაეყარა და უშანსოდ წააგო.

ნუგზარ ტატალაშვილს (73 კგ) კი ტატამზე გასვლა ორჯერ მოუწია – პირველ წრეში ტატალაშვილმა ავსტრიელ პიტერ შარინგერს 2 იუკოთი სძლია, მეთექვსმეტედფინალში კი გერმანელ კრისტოფერ ფიოლკთან ოქროს დროში ვაზარზე დავარდა და მხოლოდ 16 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანმა საჩემპიონო გზაზე ხუთი მოწინააღმდეგე დაამარცხა. ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო და ჯერ მაროკოელ მოჰამედ ელ ასრის იპონით სძლია, შემდეგ კი, იპონითვე ოუგო საკმაოდ ცნობილ იაპონელ რიოჰეი ანაის. მეოთხედფინალში ჩვენებურმა უკრაინელ რომან გონტიუკს იუკო აკმარა, ხოლო ნახევარფინალში სამხრეთკორეელ დაე-ნამ სონგს ისევ წმინდა გდებით მოუგო და ფინალში ძველ ნაცნობ, შვედ მარკუს ნიმანს დაგარეყარა, რომელთანაც შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. ამჯერად ლიპარტელიანმა რევანში აიღო და ოქროს მედალი თავად ირგუნა.

მძიმე წონაში მოჭიდავე ხანჯალიაშვილმა მედლამდე სამი მეტოქე ჩამოიცილა – ფრანგ მეთიუ თორელის წმინდად მოუგო, ლიტველ მარიუს ვაზარ-იუკოთი, ხოლო უზბეკ აბდულო ტანგრიევს – იუკოთი. ოქროსკენ მიმავალი გზა ჩვენებურს სამხრეთკორეელმა სონგ-მინ კიმმა გადაუკეტა.

ამავე წონაში ტატამზე მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილიც გავიდა, მაგრამ პირველსავე წრეში მომავალ ფინალისტთან, ჰოლანდიელ ლუუკ ვერბიჟთან წააგო.

81 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი საქართველოს ნაკრებს მონაწილე არ ჰყავდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მე-4 ადგილი დაიკავა. სამეული კი ასე გამოიყურება – სამხრეთ კორეა, იაპონია, ჰოლანდია.

# ფუტსალის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ჩაერთვება

დღეიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისი ფუტსალში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს. ამ რანგის სანაკრები ტურნირი საქართველოში პირველად ტარდება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები სომხეთის, მალტის და მოლდოვას ეროვნული გუნდები იქნებიან. მატჩები კი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 2012 წელს ტაილანდში გაიმართება, ევროპას 7 ადგილი აქვს. საკვალიფიკაციო მატჩები სამ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე გუნდები 5 ჯგუფში არიან განაწილებული. ჯგუფებიდან მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველადგილოსნები და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი გუნდი გავა.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაემატებიან ის ნაკრებები, რომლებიც პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან განთავისუფლებულები არიან. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან 14 საუკეთესო გუნდი (ჯგუფებში 1-2 ადგილებზე გასულები) მსოფლიოს ჩემპიონატის 7 საგზურს ორმატჩიან პლეი ოფში გაითამაშებს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრები თბილისურ ეტაპს პირველ ადგილზე დაასრულებს, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მისი მეტოქეები სერბეთის, სლოვენიის და ისრაელის ნაკრებები იქნებიან. ამ ჯგუფის მატჩები კი უკვე სლოვენიაში ჩატარდება.

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** ალექსანდრე ჯამბურია (იბერია სტარი), დავით კეფაშვილი (მარბო ინტერმეზო, ბელგრადი სერბეთი).

**მოედნის მოთამაშეები:** ალექსანდრე ძაბირაძე (იბერია სტარი), გიორგი ნიშნიანიძე („ნოვაია გენერაცია“, სიკტივკარი, რუსეთი), გიორგი ალთუნაშვილი (იბერია სტარი), გიორგი თორთლაძე (სპესტროვოლოსი, ნიქოზია, კიპრი), შოთა ჭანუყვაძე (ალგო თბილისი), კახაბერ მაისაია (ალგო, თბილისი), დავით ბობოხიძე (თსუ), ლევან კობაიძე (თსუ), არჩილ სებისკვერაძე (ალგო თბილისი), დავით ლუკავა (თსუ), ლაშა სიგუნავა (ალგო თბილისი), გიორგი ტიკურიშვილი (ალგო თბილისი).

**ტურნირის სრული განრიგი:**

**20 ოქტომბერი:** 15:30 მოლდოვა-მალტა; 18:15 საქართველო-სომხეთი;

**21 ოქტომბერი:** 15:30 სომხეთი-მოლდოვა; 18:15 საქართველო-მალტა;

**23 ოქტომბერი:** 18:30 მალტა-სომხეთი; 21:00 მოლდოვა-საქართველო.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ტრაბზონი | 3:0 |
| ბაზელი-ბენფიკა | 0:2 |
| დინამო(ზ)-აიაქსი | 0:2 |
| ლილი-ინტერი | 0:1 |
| სიტი-ვილიარეალი | 2:1 |
| ნაპოლი-ბაიერნი | 1:1 |
| ოცელული-მანჩესტერი | 0:2 |
| რეალი-ლიონი | 4:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ბარნლი | 2:0 |
| იფსვიჩი-პორთსმუთი | 1:0 |
| ლიდსი-ქოვენთრი | 1:1 |
| მილუოლი-ბრაიტონი | 1:1 |
| ჰოტინგემი-მიდლსბრო | 2:0 |
| პიტერბრო-კარდიფი | 4:3 |
| საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1:0 |
| ბლექპული-დონკასტერი | 2:1 |
| კრ.პალასი-ბრისტოლი | 1:0 |
| რედინგი-დერბი | 2:2 |

**ჩეხეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ბანიკი-სლოვაცკო | 0:0 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მოსკოვი. ჰალი**

| | |
|---|---|
| ჩარდი-სტარაჩე | 6:3;6:7;7:6 |
| ბოგომოლოვი-ლაოვიჩი | 3:6;6:3;6:4 |
| სტახოვსკი-ბერერი | 2:6;4:6 |
| ტურსუნოვი-რამოსი | 7:6;6:4 |
| ტროიცკი-რიბა | 6:4;6:4 |

**ატპ. სტოკჰოლმი. ჰალი**

| | |
|---|---|
| დოდიგი-მანარინო | 7:6;7:6 |
| ანდერსონი-გარსია ლოპესი | 7:6;7:6 |
| ბლეიკი-როხუსი!ო. | 7:6;6:3 |
| ნალბანდიანი-მალისე | 4:6;7:6;7:6 |
| ბაგდატისი-რაონიცი | 6:7;7:6;4:6 |

**ვტა. ლუქსემბურგი. ჰალი**

| | |
|---|---|
| ნიკულესკუ-კნაპი | 6:7;7:5;7:6 |
| ჰანტუჩოვა-ჰრადეცკა | 7:6;5:7;1:6 |
| პავლუჩენკოვა-მარინო | 6:1;3:6;3:6 |
| გერგესი-ბალტაჩა | 7:5;6:1 |
| კეტავონგი-მინელა | 6:3;1:6;6:3 |

**ვტა. მოსკოვი. ჰალი**

| | |
|---|---|
| შაფარჟოვა-პარა სანტონია | 6:7;6:4;6:3 |
| კუზნეცოვა-კორნე | 6:3;6:3 |
| იანკოვიჩი-ივანოვა | 4:6;6:1;4:6 |
| ციბულკოვა-ჰერცოგი | 6:3;7:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-კაროლინა | 1:4 |
| ვაშინგტონი-ფლორიდა | 3:0 |
| მინესოტა-პიტსბურგი | 2:4 |
| კოლამბუსი-დალასი | 2:3 |
| მონრეალი-ბუფალო | 1:3 |
| ოტავა-ფილადელფია | 2:7 |
| კალგარი-ედმონტონი | 2:1 |
| ვანკუვერი-რეინჯერსი | 0:4 |
| ფინიქსი-ჩიკაგო | 2:5 |
| ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი | 5:0 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

შედით საიტზე atb.ge

# ვინ ბლოკავს პანტომიმის თეატრს?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სპექტაკლებს ვაკეთებდი, რახან საბჭოთა პანტომიმის ფუძემდებელი ვიყავი, რომლითაც მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ეს არის დიდი ხელოვნება და საწყისი მსოფლიოს თეატრალური სამყაროსი.

***– რატომ განაწყენდით ფესტივალებზე?***

– ჯერ კიდევ „დურუჯზე" ვარ ნაწყენი. თუ ეს პრემია არის ერთპიროვნული, რომ იმას უნდა მიანიჭონ, რატომ გვეძახიან ჩვენ? მიანიჭონ პირდაპირ მას და ჩვენ შეგვეშვან. ჩვენ ჩვენ საქმეს გავაკეთებთ. არავითარი წყენა არ მაქვს. ვისაც უნდა იმას მისცენ ის პრემია, მაგრამ ტყუილად ნუ მრევენ შიგ და ნუ აკეთებენ ამ ბანკეტებს და ღრეობას, ეს მე არ მაინტერესებს. ჩემს შვილებს ვუთხარი, ნუ წახვალთ ყვარელში, არ არის საჭირო-მეთქი.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არაფერი არ გაითვალისწინეს. იმას კი არ ვამბობ, რომ მე უნდა მომცენ, მე ყურადღება უნდა მომაქციონ. მინდა ჩემ მიმართ იყოს ნორმალური დამოკიდებულება. ფესტივალი მაინც შეჯიბრია, რომ გამოდის ადამიანი და საფესტივალო პროგრამაში თამაშობს, მან ისეთი სპექტაკლი უნდა ითამაშოს, რომელიც სხვას აჯობებს.

***– რას უწუნებთ თბილისის საერთაშორისო ფესტივალს?***

– შარშან ადგნენ და ჩამოიტანეს 50 წლის წინათ დადგმული იტალიაში კომედია დელ არტეს სპექტაკლი „ორი ბატონის მსახური". კაცი, რომელიც მასოვკაში იყო 50 წლის წინათ მე რომ ვნახე, ახლა თამაშობდა მთავარ როლს. თუკი შეიძლება 50 წლის წინანდელი სპექტაკლი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანონ, რატომ არ შეიძლება სამი სპექტაკლი, რომელთაც 5 წელიწადი შევწირე – „ტერენტი გრანელს", „წმინდა გიორგის" და „ქრისტეს", ჩაისვას საფესტივალო პროგრამაში? ეს სპექტაკლები წარვადგინე და ვითხოვე, რომ თუკი მთავარ საფესტივალო პროგრამაში არ მოხვდებოდა, სტუმრის სტატუსით მაინც მიმიღეთ-მეთქი, რომ სტუმრები მოეყვანათ და ეჩვენებინათ ჩვენი სპექატკლები. მინდოდა ეს სამი სპექტაკლი მეთამაშა, პრემიერებიც მაქვს და აღდგენილი სპექტაკლებიც და არაფერი არ მიჭიირს, მაგრამ ეს სამი სპექტაკლი მინდოდა ამ ფესტივალში ჩამჯდარიყო. მსოფლიოში არც ერთ რეჟისორს არ გაუკეთებია ტრილოგია – სამი სპექტაკლი. რაღაცის ფასი ხომ უნდა ვიცოდეთ? მე სულელი კი არ ვარ, რომ ვაკეთებდი და ხუთი წელი შევწირე, მივასკდი ზედ და არაფერი, ვითომ სატელევიზიო შოუ გამიკეთებია. ტელევიზიებმაც კი არ შემოიხედეს. ჩაესვათ ფესტივალში ჩვენი სპექტაკლები სტუმრებისათვის და ყველაფერი მოგვარდებოდა. შარშან მე ვთხოვე ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ პოლონეთში ჟოზეფ მარკოვსკის ხელმძღვანელობით არის შესანიშნავი თეატრი და ის მოეწვიათ ფესტივალზე. მათ არ მოიწვიეს, მაგრამ მე მაინც ჩამოვიყვანე, მთელი ჩემი სახსრები დავახარჯე და ითამაშეს ჩემთან. წელს ისევ ვთხოვე. ეს პოლონეთია, ეს არ არის მაპატიეთ და ბანოჯა. სამი წელია ვეხვეწებით, რომ პოლონეთიდან პანტომიმის თეატრი მოიწვიონ. ჩვენ პოლონელები თან გადაგვყვნენ. საელჩოშიც კი ფული არ გადაგვახდევინეს. გზის ფულიც საკუთარი ხარჯებით დაგვიფარეს, ყველაფერი თავის თავზე აიღეს. ამ კაცს აქვს ერთი დიდი სახლი, სადაც მთელი ევროპის პანტომიმისტები ვცხოვრობთ. გვინდოდა მათი სპექტაკლები თბილისელ მაყურებელს ენახა, მაგრამ არავინ მოგვისმინა. თუკი თვითონ რომ მოძებნიან, ისინი ჩამოყავთ, ჩემს აზრს და წინადადებას რატომ არ ითვალისწინებენ? დღეს ამ საქმეში ხომ ბადალი არ მყავს? რატომ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ევროპის პანტომიმის თეატრებმა ამ ფესტივალში? რატომ? აი, ვკითხულობ მე. მე ჯანდაბას, მაგრამ მათ რა დააშავეს? ხომ უნდა იყვნენ ჩვენ გვერდით? ბევრს რომ ლაპარაკობენ,



ამირან შალიკაშვილი

იცით, რომ ევროპის პლასტიური გაერთიანების თეატრის პრეზიდენტის მოადგილე ვარ და ჩემი თეატრი შედის პლასტიკის თეატრებში უკვე 15-20 წელიწადია. ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ჩვენი შესვლა მოხდებოდა ევროპაში. ამას ხომ აქვს თავისი ახსნა?

***– კონკრეტულად რა პრეტენზიები გაქვთ?***

– არავითარი პრეტენზია არ მაქვს. ჩვენ გვქონდა პრემიერა, „ტიტუსი" დადგა ჩემმა შვილმა დათო შალიკაშვილმა, მაგრამ „დურუჯიდან" ამოაგდეს, ვითომც არაფერი. რად მინდოდა ექვსი ბოთლი ღვინო რომ მომართვეს და მერე მომაძახეს, „ქრისტეს" „მაკბეტი" სჯობიაო. მაკბეტი ქრისტეს ვერ აჯობებს, ქრისტე ქრისტეა და მაკბეტი მაკბეტია. ასეთი ლაპარაკი არ არის საჭირო. მგონია, რომ ჩემ მიმართ არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება. არავითარი პრეტენზია არ მაქვს, არც ამათი პრემიები მინდა და არც ჯილდოები. იმდენი წოდება მაქვს, რომ მეყოფა, მეტი არ მჭირდება. არც სახალხოობა მაკლია, არც მარჯანიშვილის და არც ახმეტელის პრემიები. არც მიბრძვია ამისთვის, თვითონ მეძახდნენ და მაჯილდოვებდნენ. ასე აჯილდოვებდნენ ჩემს მსახიობებსაც. ახლა თითქოს არაფერი. ამ საფესტივალო ორგანიზაციას რა დაემართა, არ ვიცი. ახალი თეატრალური სეზონი „კრიმანჭულით" გავსხენით და დაინგრა დარბაზი. ეს ხომ უნიკალური სპექტაკლია. ის 30 წელიწადია არსებობს. მთელ ევროპაში ჩემი მოწაფეები ამით ლუკმა-პურს ჭამენ. როგორ, მე გადავაგდო და იმათ ითამაშონ? მეც ვთამაშობ და ისინიც. ვაშინგტონში თამაშობს ჩემი მოწაფე „სტუმარ-მასპინძელს" ჩემი იდეებით, ჩემი ხერხებით, მე ამოვაგდო ჩემი თეატრის რეპერტუარიდან? რატომ არ უნდა ვითამაშო? მე ვიწვევ ჩემს სპექტაკლებზე დასასწრებად უცხოელებს, მაგრამ არ მოდიან. ჯერ იყო და ქეთი დოლიძე არ უშვებდა ჩემამდე უცხოელებს, როცა ფესტივალს ატარებდა. ახლა ამათმა აკეთეს ასე. იმ დღეს იყვნენ უცხოელები, მაგრამ არ ავაღებინე სპეციალურად ბილეთი. თუ ფესტივალის მონაწილეები ხართ, მობრძანდით და ისე ნახეთ-მეთქი. დასხდნენ, უყურეს, სპექტაკლის ბოლოს მოვიდნენ და მადლობა გადამიხადეს. ასე როგორ შეიძლება? თბილისის თეატრალური ფესტივალიდან პასუხიც კი არ მომწერეს. ფეხებზე დამიკიდეს? კი ბატონო. მე ძალიან ბევრს ფეხებზე ვეკიდე და ვკიდივარ, მაგრამ მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. პანტომიმის თეატრი ერთია მთელ საქართველოში, ეს ხომ არ არის დრამატული თეატრი?! რად მინდა ვინმეს საყვედური ვუთხრა, მთავარია ხელმძღვანელობა მაქცევს ყურადღებას და ყველაფერში მეხმარებიან.

***– რა იყო თქვენიPფესტივალს მიღმა დატოვების მიზეზი?***

– გინდა თუ არა, პრემიერა უნდა იყოსო. ორი პრემიერა უკვე ვითამაშეთ და ეხლა მესამეს ვუშვებთ. ისინი კი ასე მპასუხობდნენ, ახალი დადგმა უნდა იყოსო.

***– „ტიტუსი" არ არის ახალი დადგმა?***

– რადგან „დურუჯზე" წაილო დათომ სპექტაკლი და გულისტკივილი გამოვიტანეთ იქიდან, აღარ გვინდოდა ზედმეტად ნერვების აშლა. მაგისთვის კი არ მოვსულვარ ამ ქვეყანაზე. როგორც გიგა ლორთქიფანიძე იძახის, მე ვარ საბჭოთა კავშირის პროფესიონალური პანტმომის დამაარსებელი. ჩვენ უკვე 47-ე თეატრალური სეზონი გავხსენით. 50 წელი უკვე შემისრულდა მას შემდეგ, რაც მარტო სცენაზე გამოვედი. თეატრალურ ინსტიტუტში 9 ჯგუფია, რომელმაც მოითხოვა პანტომიმის სწავლა. ეს ცოტას ნიშნავს? ხალხნო, ფრთხილად უნდა იყოთ იმასთან, რაც მოულოდნელად ნიჭით დაიბადება. მე ძალიან კარგად მექცევა მთავრობა, ძალიან კმაყოფილი ვარ. ბოლოს განსაკუთრებით, პრეზიდენტისგან დაწყებული, მერიით დამთავრებული, არავინ მიშლის ხელს. ვმუშაობ ჩემთვის, მუშაობენ ჩემი შვილები, ბათუმში ვიყავით, ლიანა ისაკაძეს 4 დღე ვემსახურებოდით, ანაკლიაშიც ვიყავით. ჩვენ მოგვივიდა პრეზიდენტის განკარგულება, რომ პატრიოტთა ბანაკებში მოვემსახურებოდით ბანაკის სტუმრებს. მარტო ტრანსპორტის პრობლემა იყო. მერიამ მოგვიხერხა ტრანსპორტი, ჩვენთან ერთად წამოვიდნენ წარმომადგენლები, რომ ენახათ ჩვენი გამოსვლა. ვითამაშეთ „კრიმანჭული" და გავამხიარულეთ ახალგაზრდობა. ერთი-ორი ნომერი ტრაგიკული ვითამაშე, როგორც მსოფლიო პანტომიმის ტრაგიკულმა ფუძემდებელმა. ეს დაიკარგა ანტიკურ ხანაში და მე ვარ მისი წარმომადგენელი. სხვები იყვნენ ლირიული, კომიკური, ფარსის წარმომადგენლები. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, მაგრამ ფრთხილად იყვნენ, ეს პანტომიმის ჟანრია, ეს სახუმარო არ არის, ეს მომავლის თეატრია და სხვათა შორის, ძალიან ბევრი რეჟისორი აზროვნებს უკვე იმით, რაც მე დავამკვიდრე.

***– საქართველოს რეგიონებს ესტუმრებით?***

– ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მთელი საქართველოს მოვლა, ქუთაისში გვინდა ჩასვლა, ბათუმში გვინდა ჩასვლა, მაგრამ ფინანსურად ვერ ვართ მყარად. რეკლამა რომ გავაკეთეთ, გავიხადეთ ყველაფერი, რომ თეატრი გაგველამაზებინა და რეკლამა გაგვეკეთებინა თეატრის გარედან. მერია სკამებს ყიდულობს ჩვენთვის, საუბარია თეატრის მშენებლობაზე და რა უფლება მაქვს, რაიმე ზედმეტად ვთქვა?!

***– პანტომიმის თეატრი ადგილს შეიცვლის?***

– ალბათ, ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამაზეც თანახმა ვარ. თუკი ააშენებენ და პირობები გვექნება, მაგას რა ჯობია? 25 წელია აქ ვწვალობ, 25 წელი ქუჩაში ვედგე და თუკი რამე გამოჩნდება ისეთი, რაც ჩვენთვის სასიკეთო იქნება, რატომ არ გადავალთ?! ჯერ არ ვიცი რას მოგვცემენ და რას აგვიშენებენ. მე ყველანაირად თანახმა ვარ. მგონია, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება. მერიაში ისეთი ხალხია, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ უნდა მოგვარდეს. მამუკა ქაცარავა იბრძვის, რომ თეატრი გადარჩეს და ნორმალურად დაბინავდეს.

***– ვინ არიან თქვენთვის პანტომიმის ღმერთები?***

– კაბინეტში მიკიდია სურათი ვლადისლავ ფიალკასი, რომელიც უნიჭიერესი კაცი იყო. ოთხი გენიოსი იყო – მარსელი, ტომაშევსკი, ფიალკა და ჩარლი ჩაპლინი და თუ მე არ მთვლით არაფრად, სულ არ მაინტერესებს. მე ჩემი საქმეები მაქვს, მეოთხე წიგნზე ვმუშაობ, გიჟს ვგავარ. „ცრემლიან შემოდგომას" ვუშვებ ხოლმე სერიულად. ლექსების კრებულიც გამოვუშვი. პრეტენზია არ მაქვს, არც არავის ვუგზავნი და არც პრეზენტაციებს ვმართავ. საჯაროში ვაბარებ და თუ ჩემი მეგობრები მოვლენ, მათ ვაძლევ. არც პოეტი ვარ, არც პოლიტიკოსი, მე ვარ არტისტი!

***– კიდევ რას დადგამთ?***

– გლუკის „დონ ჟუანს" ვდგამ, ვითამაშებთ როგორ პრემიერას. ჩემი შვილი დათოც დგამს რაღაცას ახალგაზრდებისთვის, მაგრამ რას დგამს, არ ვიცი. ჩემი შვილები თანამედროვედ დგამენ, ავანგარდისტები არიან. მუშაობს დათოც და მუშაობს ამირანიც, ორივე ჩემი შვილი აქტიურად არის დაკავებული. ამასწინათ სოფო ნიჟარაძის კლიპს ვუყურებდი „ბათუმს ქათქათას" და სულ ჩემი მოწაფეები თამაშობენ.

***– საზღვარგარეთ მიდიხართ?***

– ჩეხებისგან და უკრაინელებისგან გვაქვს შემოთავაზება. არა მგონია, მერია მხარში არ დაგვიდგეს. არ მახსოვს არც ერთი ჩვენი გამგზავრება, მათ რომ უარი ეთქვათ, ამიტომ გასტროლებისთვის აქტიურად ვემზადებით.

# სააკაშვილი ფიზიკურ დაპირისპირებაზე, ტერორზე გადავა

ქეთი ხომერიკი

სანდო წყაროს ცნობით, ხელისუფლებაში მყოფმა ერთ-ერთმა ჯგუფმა პირი შეკრა სააკაშვილისა და უშუალოდ მისი გუნდის წინააღმდეგ – ხელისუფლებიდან მათი ჩამოცილება, ხელისუფლებაში სააკაშვილის გარეშე დარჩენა-მოსვლა გადაწყვიტა, – გვეუბნება წყარო. ზემოხსენებული გუნდი, არც მეტი, არც ნაკლები, ბოკერია-უგულავა-ადეიშვილის დაჯგუფებაა. სხვათა შორის, საუბრები იმის შესახებ, რომ ეს ადამიანები მერაბიშვილ-სააკაშვილს უპირისპირდებოდნენ, კარგა ხნის წინ დაიწყო და არა და არ წყდებოდა.

რაც შეეხება ივანიშვილს, ამ გუნდს ივანიშვილის ელექტორალური რესურსი სჭირდება და იმიტომაც ჩაიხუტეს, თავად ბიზნესმენს კი ქვეყნის აღმშენებლობა და პრემიერმინისტრობა სურს. ივანიშვილიც, როგორც ჭკვიანი ადამიანი, ცდილობს, განხეთქილება შეიტანოს ნაციონალების გუნდში. სხვათა შორის, ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ თუ ნაციონალები დროულად მოეგებიან გონს, მათთანაც ითანამშრომლებს. ,,მე მესმის ამ ადამიანების მდგომარეობისა. შეიძლება, ზოგს გულით უნდოდეს სახელისუფლებო გუნდის დატოვება, მაგრამ ეს არც ისე იოლად მისაღები გადაწყვეტილებაა. მე არ მაქვს მათ მიმართ აგრესიული განწყობა, ის კი არა, რომელიმე მათგანმა თავისი პოლიტიკური მრწამსი და პოზიცია რომ შეიცვალოს, არ გამოვრიცხავ მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც", – აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილს ესმის, რომ რაც არ უნდა ფინანსები ჰქონდეს, თუ სახელისუფლებო გუნდთან შეკრული არ იქნება, ვერც პრემიერ-მინისტრი გახდება და მეტიც, შედეგები მისთვის იქნება კატასტროფული, როგორც პატარკაციშვილის შემთხვევაში მოხდა, – აცხადებს წყარო.

სხვათა შორის, ეს გუნდი ქვეყნის ხერხემლად წოდებული მერაბიშვილის გადმობირებას ცდილობს, თანაც კარგა ხანია, რათა სააკაშვილის პოლიტიკური იზოლირება მოხდეს ხელისუფლებიდან, თუმცა უშედეგოდ. მოკალით და მერაბიშვილი სააკაშვილის ერთგულია, ალბათ, ბოლომდე ერთგულიც დარჩება და ჩაჰყვება კიდეც პოლიტიკურ საფლავში. მოკლედ, ასეთია სქემა, თუმცა, აქედან არაფერი გამოვა, რადგან მერაბიშვილი სააკაშვილს არ გაწირავს. რომც უნდოდეს, ვერ გარისკავს, რადგან იმის გარანტიები არ აქვს, რომ ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ისინი მას არ გადააგდებენ და ვირის აბანოში არ გაუშვებენ. ვიღაც ხომ უნდა დაისაჯოს, შინაგან საქმეთა მინისტრობა კი ხელწამოსაკრავი თანამდებობა არ არის...

რაც შეეხება გარე ძალებს, უმაგრებს თუ არა ზურგს ამ გუნდს ვინმე და ვინ? გარე ძალები ჯერჯერობით ამ პროცესს აკვირდებიან, თუმცა, სააკაშვილი გულზე არ ეხატებათ, მას პრემიერობასა და პარლამენტის თავმჯდომარეობაზე უარი კარგა ხნის წინ უთხრეს, თითიც კი დაუქნიეს და ეს ყველასთვის ცნობილია, თუმცა, ნაციონალურ მოძრაობას სწყალობენ, ისევე, როგორც ალასანიასა და რესპუბლიკელებს. ცნობილია, რომ ისინი პროდასავლურ ძალებად მოიაზრებიან. შეხედავენ, რა სურათი დაიდება, საბოლოოდ რომელი გუნდიც მოერევა, რა თქმა უნდა, იმას დაუჭერენ მხარს, უნდათ თუ არ უნდათ – სააკაშვილსაც. ისე კი მათი სიმპათიები ბოკერია-უგულავასა და ალასანიასკენ იხრება, – აღნიშნავს წყარო.

როგორ განვითარდება მოვლენები? გამწვავდება თუ არა ამ გუნდებს შორის სიტუაცია? პოლიტიკური დაპირისპირება იქნება, სააკაშვილი ფიზიკურ დაპირისპირებაზე, ტერორზე გადავა, – ირწმუნება წყარო. მან ყველაფერი მშვენივრად იცის, მერაბიშვილის უწყება ,,განდგომილი" და ,,მოღალატე" ,,ნაცების" ტელეფონებს უკვე უსმენს. სააკაშვილი უგულავას ახლავე გაუშვებდა შინ, თუმცა, ის პირველი პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერია და ამიტომ ვერ ხსნის. რაც შეეხება ბოკერიას, მისი უშიშროების საბჭოს მდივნობიდან მოხსნა არც ისე ადვილია, სხვა თუ არაფერი, აშშ-ში ჰყავს მფარველები.

,,ახალი თაობა" ,,ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატების" პრესსამსახურის ხელმძღვანელ ვაკო ავალიანს ესაუბრა. ავალიანის თქმით, ეს ინფორმაცია იმდენად არასერიოზული და სისულელეა, რომ კომენტარის გაკეთებაც არ ღირს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 13. ყავის მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 15. მწერი მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 16. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 18. იორდანიის დედაქალაქი; 19. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 10. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. ავარიის შედეგად გემის ტვირთის ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 20. მონასტერი ქსნის ხეობაში; 21. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 23. ძველბერძენი ისტორიკოსი.

**მოამზადა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პაემანი; 2. ჭანები; 3. ფსალმუნი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ნატამალი; 14. დიაგრამა; 16. „რუსთავი"; 17. მორჩილი; 19. საბა; 20. აურა.

**თარაზულად**: 5. „კავკასია"; 6. დისპერსია; 9. საფარა; 10. ბეშუმი; 11. სესია; 13. „ნაიკი"; 15. „ლინატე"; 18. რუმბა; 21. ბაკურიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ურუგვაი; 2. ბარონი; 3. ბუქარესტი; 4. ხვიფლი; 5. „რისლინგი"; 7. აბიო; 11. ტაიფუნი; 13. „ადიდასი"; 15. „ოპეკი"; 16. დორსე; 18. „ლანჩა"; 19. სტუკო.

**თარაზულად**: 6. რეგატა; 8. „ჩაკრულო"; 9. პრიმასი; 10. ვიკონტი; 12. ნიცშე; 14. „მითანა"; 17. ტრიპლექსი; 20. ქლუხორი; 21. ეკლერი; 22. ჩხიკვი; 23. ფეხბურთი.

# ანზორ აბრალავა: ივანიშვილმა მკვდარი პოლიტიკოსების გაცოცხლება დაიწყო

შორენა კოწოწაშვილი

**ყოფილი დეპუტატი, პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობის" თავმჯდომარე ანზორ აბრალავა პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენას მიესალმება, თუმცა არჩევანს უწუნებს. აბრალავას შეფასებით, ივანიშვილმა პოლიტიკაში მიცვალებულების რეინკარნაცია დაიწყო.**



ანზორ აბრალავა

— სააკაშვილი, ალბათ, წავა, პუტინის ვარიანტს არ გაითამაშებს. მან შეიძლება არაორდინარული სვლები გააკეთოს და წავიდეს, როგორც ლიდერი, რომელმაც ახალგაზრდულ ასაკში მკვეთრი ნაბიჯები გადადგა; შეეძლო, ავტორიტარული მმართველობით ძალაუფლება შეენარჩუნებინა, მაგრამ გაეცალა და ქვეყანას დემოკრატიული დინებით სვლის საშუალება მისცა, — აცხადებს აბრალავა, რომელიც ეჭვობს, რომ ივანიშვილი რუსულ-ამერიკული პროექტია.

აბრალავა საარჩევნო გარემოს შესაქმნელად შექნილ „ექვსიანს" პოლიტიკურ „შესტიორკას" უწოდებს. აბრალავას თქმით, მათ ერთი იდეაც ვერ დადეს და ვაჭრობა იმაზე გააჩარეს, საარჩევნო გარემო როგორ მოირგონ.

გთავაზობთ ინტერვიუს **ანზორ აბრალავასთან.**

***— ბატონო ანზორ, თქვენი პარტიის მერობის კანდიდატი თამაზ ვაშაძე მიიჩნევს, რომ ივანიშვილი ციხეში უნდა იყოს და არა ხელისუფლების სათავეში. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— მე ასე არ ვფიქრობ. ჯერ ერთი, დიდი აჟიოტაჟი არ უნდა იყოს ატეხილი იმაზე, ივანიშვილი პოლიტიკაში რატომ მოდის. ან რატომ უნდა იყოს ვინმე შეშინებული, რა, არა აქვთ ადამიანებს პოლიტიკაში მოღვაწეობის უფლება?! არის კანონი, რომელიც ექსკლუზიურ უფლებას აძლევს რომელიმე პიროვნებას თუ პოლიტიკურ პარტიას. ჩემთვის ეს ნაწილი გაუგებარია. მეორე: მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით გარკვეული კითხვები დაისვა პარტიების მიმართ და, სხვათა შორის, ძალიან სწორი კითხვაა: საიდან ფინანსდებიან ეს პარტიები და როგორ საზრდოობენ. ცნობილია, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. დაფინანსების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

***— მართლაც სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების რეალური ალტერნატივა გამოჩნდა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გარემოცვის სახით?***

— რა თქმა უნდა. მე, პირადად, არ გამკვირვებია ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა. მე ველოდებოდი, რომ ეს მოხდებოდა. ჰაერში ეს განწყობა იგრძნობოდა. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილი ამ ნაბიჯს გადადგამდა. ეს ნამდვილად იგრძნობოდა. ამიტომ ჩემთვის ეს მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. მოულოდნელი სხვა რამ არის.

***— რას გულისხმობთ, გარემოცვას, რომელიც ივანიშვილმა ოპოზიციური სპექტრიდან შემოიკრიბა?***

— რა თქმა უნდა. ივანიშვილმა, ფაქტობრივად, დაიწყო მიცვალებულების რეინკარნაცია. პარტიები, რომლებიც გამოიტირა ქართველმა ხალხმა, პანაშვიდიც გადაუხადა, ორმოციც და წლისთავისთვის ემზადებოდნენ, უცებ კვლავ გამოდიან და ყელყელაობას იწყებენ, თითქოს ქართველ ხალხს ამათ გარეშე პერსპექტივა არ გააჩნია. იგივე რესპუბლიკური პარტია ავიღოთ. ჩვენ თამამად უნდა ვილაპარაკოთ. ეს არის პარტია, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს ქვეყანაში. ლევან ბერძენიშვილი ნიჭიერი კაცია, მაგრამ მისი ნიჭი ყოველთვის ქვეყნის საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული. ესენი ებრძოდნენ ეროვნულ ხელისუფლებას, სამხედრო საბჭოში ესენი მონაწილეობდნენ. ესენი არასდროს ქართველის ხალხის ნებით ხელისუფლებაში არ მოსულან. ჯერ იყო და შევარდნაძემ მოიყვანა საკომპენსაციო სიებით, „იმედის არჩევნები" რომ დაარქვეს 1992 წელს. შემდეგ იყო, სააკაშვილმა შემოიყვანა ესენი პარლამენტში და პოლიტიკურ ფიგურებად აქცია. ბოლო დროს ქართველმა ხალხმა დამარხა, როგორც პოლიტიკური ძალა და ახლა ისევ ხდება მათი რეინკარნაცია, გაცოცხლება. ეს გაუგებარია.

***— როგორც ივანიშვილმა მიუთითა, მან რესპუბლიკური პარტია ინტელექტითა და მრავალი პარტიული ლიდერით გამოარჩია.***

— რაში გამოადგა ქვეყანას მათი ინტელექტი, ან რა ინტელექტი აქვთ ასეთი? ინტელექტი, რა, ჩვენ არა გვაქვს თუ სხვა პოლიტიკურ ძალებს ან სხვა ადამიანებს არა აქვთ? რაში ვლინდება მათი ინტელექტი? თუ ასეთი საინტერესო ადამიანები არიან, რატომ არ აქვთ ქვეყნის შიგნით რეიტინგი?! ახლა ამბობენ, ქვეყნის გარეთ სცემენ პატივსო. არ ვიცი, რატომ უნდა იმსახურებდეს პოლიტიკური ძალა სიმპათიებს ქვეყნის გარეთ, როცა ქვეყნის შიგნით საზოგადოების სიმპათიით არ სარგებლობს. ჩვენ პოლიტიკა და ქვეყნის მომავალი ქართველი ხალხის ნებაზე უნდა გავთვალოთ. სანამ ქართველი ხალხი არ გათავისუფლდება ამ ცრუ იდეალებისაგან, ჩვენი გადარჩენის შანსი არ არსებობს.

***— ანუ არასწორი არჩევანი გააკეთა პოლიტიკურ ფლანგზე ბიძინა ივანიშვილმა, როცა გვერდით რესპუბლიკელები დაიყენა?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს არის არასწორი არჩევანი. ეს არის შეცდომა. მე ამას ღიად ვამბობ. ივანიშვილი ამას მომავალში იგრძნობს.

***— მხოლოდ რესპუბლიკელებზე გაკეთებული არჩევანია არასწორი თუ ალასანიასთან და ეროვნულ ფორუმთან თანამშრომლობაც?***

— ყველა ის ძალა, რომელმაც განიცადა კრახი. საზოგადოების შეკვრა სხვაა და პოლიტიკური პარტიების რეინკარნაცია და ასეთი ძალების შეკვრა სხვა რაღაცაა. ამ პარტიებს მეტი რესურსი არ გააჩნიათ. ეს არის მერკანტილური ინტერესებით დაკავშირებული ხალხი. ბიძინა ივანიშვილისგან მათ ერთადერთი რამ უნდათ — მისი ფინანსები. ამაზრზენია, როგორ ცახცახებენ ეს პოლიტიკოსები ივანიშვილის წინ და სახეზე აწერიათ, როდის მოგვცემს ფულსო. როგორ კანკალებენ და როგორ გატრუნულები არიან. ეს კარგად ჩანს. საზოგადოებაც, სამწუხაროდ, მამა-მარჩენალზეა ორიენტირებული.

***— თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა, პოლიტიკურ და ექსპერტულ წრეებში მიუთითებენ, რომ ეს არის პოლიტიკური რეალობა და ამ პოლიტიკური სპექტრის შესაბამისად უნდა მოხდეს არჩევნის გაკეთება.***

— რატომ უნდა ვიბრძოლოთ იმ ძალების მოსვლისთვის, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას განაჩენი ერთხელ უკვე გამოუტანეს?! რატომ, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მხრიდან შემოვლენ ესენი? ისტორიამ ესენი გაიყვანა კარიდან, ახლა კი ივანიშვილის მეშვეობით ფანჯრიდან უნდა შემოვიდნენ?! მე მგონი, ეს არის ნაბიჯი, რომელიც მისი მხრიდან კორექტირებას მოითხოვს. არ შეიძლება ამ ხალხზე ორიენტაციის გაკეთება. მაშინ, რატომ ვცვლით ჩვენ ხელისუფლებას, რა განსხვავებაა? გუშინ არ იყო ბერძენიშვილი ამ ხელისუფლების შემადგენლობაში? გუშინ არ იყო ოქრუაშვილი? თუ პრინციპი ასეთია: ადამიანი ცუდია, როცა ხელისუფლებაშია, კარგია, როცა ხელისუფლებაში არ არის. გაუგებარია, რა იცვლება.

***— ბატონო ანზორ, რესპუბლიკელები ამტკიცებენ, რომ ისინი ფულზე გაყიდულან და ივანიშვილს საკუთარი პოზიციები და მოთხოვნები ღიად დაუფიქსირეს კონკრეტულ ნაცელიტასთან მიმართებით — მერაბიშვილი, ადეიშვილი და ა.შ. ამასთან, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ივანიშვილის გვერდით დადგომას რესპუბლიკელებისა და ალასანიას თანხმობა სჭირდება.***

— რა იდეა გააჩნიათ ამათ, ვერ გეტყვით. ამათ გააჩნიათ ერთადერთი იდეა, როგორმე პოლიტიკაში იტივტივონ. ივანიშვილის გამოჩენა მათთვის იყო, როგორც ბიზნესმენის მიერ მათთვის გადმოგდებული მაშველი რგოლი. მე, მაგალითად, ვთვლი, რომ ამ პარტიებისA და საზოგადოების კონსოლიდაცია სხვა არის. მაგრამ ასეთი პოლიტიკური ძალების გადარჩენისათვის, რეინკარნაციისთვის ბრძოლა, მიმაჩნია, რომ წინდახედული ნაბიჯი არ არის. ახლა ესენი ცდილობენ, ივანიშვილს ასიამოვნონ, თუმცა, თავად ივანიშვილი შემდგომში ნახავს, რომ ეს ნაბიჯი არის შეცდომა, არასწორი. ბადრი პატარკაციშვილს, იცით, რა დაემართა? — მას ეგონა, რომ არის წარმატებული ბიზნესში და ასეთივე წარმატებული იქნებოდა პოლიტიკაში, მაგრამ შეცდომა დაუშვა, როცა იმ ძალებსა და იმ ადამიანებს დაეყრდნო, რომლებიც საერთოდ მოწოდებული არიან, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ.

***— ანუ, არასწორი არჩევნიდან გამომდინარე, ივანიშვილს გაუჭირდება პირობის შესრულება, რადგან ვთქვი, აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაშიო.***

— ივანიშვილი შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ, მე ვამბობ, რომ თუ ის მოვა და ამ ძალებს მოიყვანს, ეს მისი შეცდომა იქნება. მე, მაგალითად, ვერასდროს დავუჭერ მხარს, რომ ეს ძალები ხელისუფლებაში მოვიდნენ. ივანიშვილის დიდ ქველმოქმედებას და კარგ იმიჯს ესენი გადაფარავენ თავიანთი უარყოფითი ნაბიჯებით და წარსულით. რესპუბლიკელები ის ძალაა, რომელიც ყველა ანტისახელმწიფოებრივ იდეას უჭერდა მხარს. ესენი გამოდიოდნენ ტოლერანტობის ლოზუნგით და, როდესაც პრობლემა არ იყო, შექმნეს რელიგიური პრობლემების ფონი საქართველოში. ესენი უჭერდნენ მხარს ანტიქრისტიანულ, ანტიმართლმადიდებლურ, ანტიკულტურულ ღონისძიებებს. „კმარას" მე ვწვრთნიდი?! ლევან ბერძენიშვილი წვრთნიდა ცხვარიჭამიაში, სადაც ბაზა ჰქონდათ გაკეთებული და ის ამაში ფულს იღებდა. თან ამათ მეგობრობაც და პარტნიორობაც არ იციან. ესენი ისე წარმოაჩენ, თითქოს ამ ყველაფერს პოლიტიკა იტანს.

***— ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ რეალურად გამოჩნდა სააკაშვილის ალტერნატივა და საზოგადოების და ოპოზიციის კონსოლიდირება სწორედ ივანიშვილის გარშემო უნდა მოხდეს. მიღწევადია ეს პროცესი და ჩანს, რომ ივანიშვილი რუსეთ-ამერიკის შეთანხმებული პროექტია?***

— მე, პირადად, არა მგონია, რომ ეს რუსეთ-ამერიკის შეთანხმება იყოს. მე უფრო ვხედავ აქ წინააღმდეგობას ევროპულ სახელმწიფოებსა და ამერიკას შორის. სარკოზის ვიზიტის ანალიზს თუ გავაკეთებთ, სარკოზიმ თქვა ერთი რამ: რუსეთი არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, რუსეთი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. იქვე თქვა, რომ გერმანიასა და საფრანგეთს ერთმანეთთან მტრობა ჰქონდათ. სამი ომი ჰქონდათ. გერმანიამ ომით დაკარგა ტერიტორიების 25%. გერმანიისთვის ტერიტორიების აღდგენა მუდმივი სწრაფვაა. ამაზე აქცენტით სარკოზიმ მიანიშნა, თქვენც უნდა შეეგუოთ, აფხაზეთიც უნდა აღიაროთ, სამხრეთ ოსეთიც უნდა აღიაროთ. აი, ამ რეალობაში უნდა გახდეთ რუსეთის მეგობარი. დღეს კი იმას იმეორებენ, სარკოზიმ თქვა, საბჭოთა კავშირი აღარ აღდგება და ამაზე ტაშს უკრავენ. ეს ისედაც ცნობილია. დღეს ჩვენ სხვა რეალობაში ვართ. კარგად უნდა გავიაზროთ სარკოზის სიტყვების ქვეტექსტი. ამერიკას აქვს სხვა ინტერესები და სხვა სტრატეგია აქვს. ევროპას რუსეთთან ურთიერთობა დაბალანსებული აქვს. საფრანგეთი ავიღოთ, ამერიკელების წინააღმდეგობის მიუხედავად, „მისტრალი" რუსებს მაინც მიჰყიდა. ეს ერთი პოლიტიკაა ამერიკისა და ევროპის?! ამ პროექტებს ასე უნდა შევხედოთ.

***— ანუ გამორიცხავთ, რომ ივანიშვილი შეიძლება იყოს რუსეთ-ამერიკის შეთანხმებული პროექტი?***

— რუსულ-ამერიკული — არა მგონია. ლეიბორისტები აცხადებენ, რომ ივანიშვილი ამერიკული პროექტია. მაგრამ ლეიბორისტების განცხადებას ჭეშმარიტებად ვერ გამოვაცხადებ. ჩემი აზრით, ივანიშვილი უფრო ევროპული პროექტია. ივანიშვილის უკან, ჩემი აზრით, ევროპის ლიდერი სახელმწიფოები დგანან: საფრანგეთი, გერმანია. შეიძლება, უბრალოდ დაემთხვა ივანიშვილის გამოჩენა სარკოზის ჩამოსვლას. ამაში ცუდი არაფერია.

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავს ცნობილი ხელოვანის, თეატრალური საზოგადოების ბრწყინვალე ვარსკვლავის, გენიალური მსახიობის, საზოგადო მოღვაწისა და ღირსეული მოქალაქის

**რამაზ ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ ნანა გუგუჩიას მეუღლის

**ბადრი ლომინაძის**

გარდაცვალების გამო.

გულრიფშის რაიონის ეროვნული ინტელიგენცია, გაზეთ „გულრიფშის ზარების" თანამშრომლები, მეგობრები სამძიმარს ვუცხადებთ დავით შონიას ძმის

**ამირან (ვაჟა) ნოჩოს ძე შონიას**

გარდაცვალების გამო.

სამშობიარო „იმედის კლინიკა" სამძიმარს უცხადებს ექიმ ნინო სესიტაშვილს დედის

**ეთერ ბერაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 20 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **13.50** აღმოაჩინე საქართველო **14.00** ჩვენი ფერმა **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** დოკ. ფილმი "პირველი ტელევიზია" **18.00** ან. ფილმი "ადამიანი ობობა" **19.05** სერიალი **"მისამართი უცნობია"** **21.00** სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.00** მხ. ფ. **"ამერიკელი ჟიგოლო"** (**12**) (რ. დე ნირო) **03.10** მოამბე **03.30** სერიალი **"ზიანი"** (**12**) **04.25** მხ. ფილმი **"სისხლი და ძვალი"** (**15**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერიალი **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ხატი"** **02.00** მხ. ფილმი **"სიზმრებში"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერიალი **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერიალი **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** თოქ-შოუ (გან.) **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.45** რემონტი **01.20** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (**18**) (ჯ. მური) (სუბტ.) **03.45** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (**12**) (მ. გუდი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი"** **12.50, 19.35** სერ. **"მხოლოდ შენ"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ბანგაში"** **13.40** კონცერტი — ნუნუ დუღაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** **16.40** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.05** ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მაცივარში ვიღაც იჯდა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.20** დოკ. ფილმი "სარფი მოლენა" **1**-ლი ნ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ტაო-კლარჯეთი" მე-**3**ნ. **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი — სტეფან გრაპელი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 ოქტომბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–20, ღამით — 3–7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–16, ღამით — 7–14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–14, ღამით — -5–6

**ამინდის პროგნოზი 20 ოქტომბრისთვის**






## გაზეთ „ახალი თაობის“

## 17 ოქტომბრის ნომერთან ერთად გაიყიდება

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მესამე ტომი



# ვეფხისტყაოსანი

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!

# საქართველო რეიტინგში ვარდნას აგრძელებს

**ფიფა-კოკა-კოლამ ოქტომბრის რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრებმა 3 ადგილით უკან დაიხია და 67-ე ადგილზე იმყოფება - ჩვენებს 475 ქულა აქვთ. ეს გასაკვირიც არ არის - თემურ ქეცბაიას შეგირდებს კარგა ხანია მატჩი არ მოუგიათ.**



რამდენიმე ცვლილება მოხდა პირველ ათეულში: 3 ადგილით აღზევდა ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში, ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული საბერძნეთის ნაკრები და ახლა მე-8-9 პოზიციებს პორტუგალიის ნაკრებთან იყოფს, რომელიც პირიქით, სამი საფეხურით ჩამოქვეითდა. ჩვენი ჯგუფის მეორეადგილოსანმა ხორვატებმა კი 9-დან 12 პოზიციაზე გადაინაცვლეს.

აღსანიშნავია პირველ ათეულში დანიის ნაკრების მოხვედრა, რომელმაც 7 ადგილით აინაცვლა და არგენტინელებთან ერთად მეათე-მეთერთმეტე ადგილებს იყოფს. ბარზილია ორი ადგილით დაწინაურდა და მეხუთეა. ერთი საფეხურით აინაცვლა ინგლისის ნაკრებმაც.

ფიფას რეიტინგს კვლავ მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევში ჩვენი მეტოქე ესპანეთი უდგას რეიტინგს, ხოლო კიდევ ერთი მეტოქე-გრანდი ფრანგები 15-ე ადგილზე არიან.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: 1.ესპანეთი – 1624 ქულა; 2..ჰოლანდია – 1425; 3.გერმანია – 1352; 4.ურუგვაი – 1230; 5.ბრაზილია – 1144; 6.იტალია – 1135; 7.ინგლისი – 1101; 8-9.საბერძნეთი, პორტუგალია – 1044; 10-11.დანია, არგენტინა – 1030.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი

**20 ოქტომბრისთვის**

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ და ახალ ამბავს გაიგებთ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, საღამო მშვენიერი იქნება. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, ზომიერად მოხვდით ხალხს თვალში. **მორიელი** — ფულის პრობლემა ნამდვილად არ გექნებათ. **მშვილდოსანი** — საქმის გარკვევა ღირს, ასე ნუ მიატოვებთ. **თხის რქა** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** — თავს კარგად გრძნობთ, ახალი სამუშაო მოგეწონებათ. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 2. სერბეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ-იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 3. წყალში გახსნილი საღებავებით შესრულებული ნახატი; 4. ძველებური ფირსაკრავი; 7. ლუდსახარში საქართველოში; 8. წელიწადის მეოთხედი; 12. თევზის საჭერი მოწყობილობა; 14. სივრცეში სხეულთა განაცვლების კანონების შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 16. უცნაური, სასაცილო ამბავი, შემთხვევა; 17. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 20. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 5. პატარა ქირურგიული დანა; 6. აგრესიის ინტენსიური გაფართოება, გაძლიერება; 9. მზის სისტემის პლანეტა; 10. გურულების, აჭარლების ძველებური ტანსაცმელი; 11. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები; 15. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 18. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 21. საფეხბურთო, სარაგბო სტადიონი კარდიფში; 22. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა; 23. მეომრის ძველებური ჯაჭვის პერანგი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## იუმორი



– ადამიანი ზუსტად იმდენად არის ღარიბი, რამდენადაც მისი მსყიდველობითი უნარი მის მოთხოვნილებებზე ნაკლებია...

***

– ლუდის ბარში სტრიპტიზი არ არის, სტრიპტიზ-ბარში ლუდი აქვთ. გამოდის, ლუდი უფრო მნიშვნელოვანია...

***

– ქალები ურთიერთობას იერიშზე გადმოსული მამაკაცის მოგერიებით იწყებენ, უკანდასახევი გზის მოჭრით კი – ამთავრებენ...

***

– საოცარი რამეა ცხოვრება. მაგარი მანქანა და ბინა თუ არ გაქვს, დოყლაპია ხარ, თუ გაქვს, მშობლებმა გიყიდეს, ან შენით თუ იყიდე, მხოლოდ კრედიტით. ქალს ხელიდან თუ არ უშვებ – გარყვნილი და მუსუსი ხარ, თუ არადა – იმპოტენტი. შეყვარებული თუ გყავს, ქალის მონა ხარ, თუ არ გყავს – უხეირო. თუ სწავლობ – შკოლნიკი ხარ, თუ არ სწავლობ – უქნარა. არ მუშაობ – ალფონსი და ზარმაცი ხარ, მუშაობ – რა აზრი აქვს შენს მუშაობას, რამე უკეთესი ვერ იშოვე? შინ თუ ზიხარ, დივანის ბალიში ხარ, სულ წვეულებებზე და ძმაკაცებში თუ დადიხარ – მომავალზე არ ფიქრობ. ადრე მოიყვან ცოლს, დებილი ხარ, გვიან მოიყვან – მაინც დებილი ხარ, არ მოიყვან, ორჯერ დებილი ხარ...

***

მშენებლები ახლად აშენებულ სახლში კედლების ბგერით იზოლაციას ამოწმებენ.

– ნიკო, გესმის ჩემი?

– რა გაღრიალებს – გხედავ!

***

ახალგაზრდა მეზღვაური კაპიტანს ეკითხება:

– რატომაა, რომ გემების უმეტესობას ქალების სახელი ჰქვია?

– რომ იცოდეთ, რა ძნელია მათი მართვა, ასეთ სულელურ შეკითხვას არ დამისვამდით!

**გ. თ.**

## როგორია თქვენი ცხოვრების წესი

**ტესტი**



***1. დილით ადრე ადგომა თუ გიწევთ:***

ა. მაღვიძარას მომართავთ, (10) ბ. ინტუიციას ენდობით, (30) გ. შემთხვევის იმედად ხართ. (0)

***2. დილით გამოღვიძების შემდეგ:***

ა. მაშინვე წამოვარდებით და საქმეს მიაშურებთ (10). ბ. აუჩქარებლად დგებით, ვარჯიშობთ და შემდეგ იწყებთ მუშაობას. გ. საბნის ქვეშ ნებივრობთ (0)

***3. დილით საუზმეზე მიირთმევთ:***

ა. ყავას და ბუტერბროდს (10) ბ. ხორციან კერძს (30). გ. არ საუზმობთ

***4. როგორი სამუშაო განრიგი მოგწონთ:***

ა. დილით სამსახურში ერთსა და იმავე დროს მისვლა (0) ბ. მოქნილი გრაფიკი (30). გ. დაგვიანების შესაძლებლობა (10)

***5. შესვენების დროს უნდა შეგეძლოთ:***

ა. სადილობა (0) ბ. სადილობის შემდეგ ყავის დალევაც (10) გ. სადილობის შემდეგ დასვენება (30)

***6. რამდენად ხშირად ახერხებთ სამსახურში თანამშრომლებთან ხუმრობასა და გართობას?***

ა. ყოველდღე (30) ბ. ხანდახან (10). გ. იშვიათად (0)

***7. სამსახურში კონფლიქტური ვითარება თუ შეიქმნა, როგორ შეეცდებით ვითარების განმუხტვას?***

ა. ხანგრძლივი დისკუსიებით. (0) ბ. დუმილით. (10) გ. თქვენს პოზიციას განმარტავთ და კამათზე უარს იტყვით (30)

***8. როდის წვებით დასაძინებლად?***

ა. ერთსა და იმავე დროს (10) ბ. როდესაც მეძინება (30) გ. საქმეებს რომ მოვრჩები (0)

## პასუხები

**80 ქულაზე ნაკლები:** თუ რაიმე ავადმყოფობა, განსაკუთრებით გულსისხლძარღვთა დაავადება გაწუხებთ, ამაში მხოლოდ თქვენი ცხოვრების წესი უნდა დაადანაშაულოთ. თქვენ სპეციალისტის, ექიმი-ჰიგიენისტის ან ფსიქიატრის დახმარება გჭირდებათ.

**80-140 ქულა:** თუ მომავალშიც ამ რეჟიმით გააგრძელებთ ცხოვრებას, მალე ისეთ დღეში ჩავარდებით, რომ შეიძლება პენსიამდე ჯანმრთელმა ვერ მიატანოთ. მიიღეთ ეს გაფრთხილება და პროფილაქტიკას ხვალისთვის ნუ გადადებთ.

**140-200 ქულა:** იდეალთან საკმაოდ ახლოს ხართ, თუმცა ჯერ ვერ მიაღწიეთ. ყოველ შემთხვევაში, უკვე დაეუფლეთ მუშაობის ყველაზე დაძაბული რეჟიმის დროსაც კი ძალების აღდგენის ტექნოლოგიას.

**200-280 ქულა:** ქულების თითქმის მაქსიმალური რაოდენობა მოაგროვეთ. შეიძლება ითქვას, რომ იცით, როგორ უნდა ცხოვრება. მუ შეგეშინდებათ ცხოვრების რეგლამენტირებისა, იგი მონოტონური სულაც არ გახდება, პირიქით, ძალებსა და ჯანმრთელობას შეგინარჩუნებთ.

**გ. თ.**